1-52

# კვალის

## სარჩევი 190~~2~~1 წლისა.

### I. მეთაური წერილები.


| | გვერ. |
|---|---|
| გასული წელი, ნ. ჟორდანიასი | 1 |
| გასული წელი ევროპაში, მისივე | 21 |
| ინგლისი ვიქტორიას მეფობაში, მისივე | 37 |
| გიორგი წერეთელი, მისივე | 53 |
| იუდა | 217 |
| ეგნატე ნინოშვილი | 546 |
| ჩვენი დღევანდელი პრესა, ნ. ჟორდანიასი | 563, 577, 594, 609 |
| საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა | 625, 641, 689, 737, 753, 785, 801, 833, 866, 881, 897, 931, 946, 961, 978, 1029. |
| ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ და დღეს, ი. გომართელისა | 792, 807 |
| საქართველოს რუსეთთან შეერთება | 817 |


### II. მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.


| | |
|---|---|
| **პოლიტიკოსები:** | |
| ნაპოლეონ I | 69 |
| მეტერნიხი | 85 |
| ტიერი | 101 |
| გამბეტა | 122 |
| ვილჰელმ I და ბისმარკი | 153 |
| გლადსტონი | 169 |
| **ნაციონალისტები:** | |
| გარიბალდი | 185 |
| კოშუტი | 201 |
| პარნელი | 233 |
| **ეკონომისტები:** | |
| სენ-სიმონი და ფურიე | 242 |
| ლუი ბლანი | 265 |
| **მეცნიერები:** | |
| რუდოლფ ვირხოვი | 865 |
| ბერტელო | 988 |
| **რუსეთის მოღვაწენი:** | |
| სპერანსკი | 497 |
| გერცენი | 513 |
| ბელინსკი, ირ. წ—ისა | 545 |
| გოგოლი, მისივე | 561 |
| ტურგენევი, მისივე | 593 |
| ნ. ა. დობროლიუბოვი | 972 |
| კ. დ. უშინსკი, ი. გ—რისა | 31 |
| რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში, ი. გომართელისა | 696, 710, 721, 747, 762, 769. |


#### საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში.


| | გვერ. |
|---|---|
| ფრანსუა შატობრიანი და ქ. სტალი | 827 |
| ვიქტორ ჰიუგო და ონორე ბალზაკი | 213 |
| ჟორჟ-ზანდი | 929 |
| ჟან პიერ ბერანჟე | 1009 |
| ნატურალიზმი | 1032, 1049 |


### III. პუბლიცისტიკა და ქრონიკა.


| | |
|---|---|
| ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის სურათი, ა. ხასხანაშვილისა | 11 |
| მე-XIX საუკუნე და ადგილობრივი გაზეთები | 28 |
| 1901 წ. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა | 36 |
| ცოტა რამ სამეგრელოს და მეგრელების შესახებ, ვ. შავდიასი | 41 |
| მთავრობის განკარგულება | 58 |
| ჩვენი შინაური საქმეები, მათუსალასი | 74, 106, 142 |
| პატარა წერილი, ი. ხოსიტაშვილისა | 75 |
| სტუდენტების საზოგადოების შესახებ, Studiosus | 76 |
| ამბები სომეხთა ცხოვრებიდან | 98 |
| პატარა წერილი, გ. ბოკერიასი | 90 |
| გურიის მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ, ს. ჭყეშვილისა | 99, 118, 135, 155, 511 |
| „ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის“ გამო, ი. კაკაბაძისა | 117 |
| ქუთაისის ოპოზიციის ალიაქოთი, Studiosus-ისა | 108 |
| ჩვენებურ მთარგმნელთა საყურადღებოთ, ვ. შავდიასი | 119 |
| ამბები სომეხთა ცხოვრებიდან, დ. ტერ-დავითიანცისა | 134, 227, 246, 559 |
| ტყვარჩელის ქვა-ნახშირი, ის. კვიცარიძისა | 150, 230 |
| ფ. გოგიჩაიშვილი | 218 |
| სახალხო საქმეების გამო, მეხაძისა | 159 |
| მცირე შენიშვნა, აკაკისა | 174 |
| მთავრობის გამოცხადება | 176 |
| შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი | 206 |
| ქუთაისი და ხონი, ვ. შავდიასი | 214 |
| შინაური მიმოხილვის მაგიერ | 234 |
| სამედიატორო სამართლის განჩინება | 264 |
| 25 მარტის რესკრიპტი | 268 |
| საყურადღებო აღმოჩენა | 276 |
| მთავრობის განცხადება | 481 |
| ქართველთა გამომცემელ ამხანაგ. წევრთა კრება, წევრისა | 443 |
| ქიათურის ბანკის შესახებ, კ. მოდებაძისა | 503 |
| პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინებიან | 518 |
| თფილისის გუბ. თავად-აზნაურთა კრება, წ—ისა | 526 |
| გურიის ამხანაგობის «შუამავალის» კრება, X-სა | 550 |
| ქიათურის ბანკი, ნ. ელიავასი | 567 |

მცირე შენიშვნა, ს. ჟ—ლისა . . . 576

თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება, ი. წ—ისა . . . . 592

ქართული ენის ლექსიკონი, ჰ. ჭარაიასი . . 666

კავკ. ფარმაცევტთა კრების გამო, Ignotus-ისა 671

ჩვენებური საქმიანობის ორი მაგალითი, ნ. ელიავასი 676

რედაქტორ-გამომცემ. საყურადღებოთ, ასოთამწყობისა 701

სიონისტების კრება თფილისში . . . 774

ცნობები სწავლა-განათლების შესახებ კავკასიაში 782

წესიერების გაძლიერებული დაცვის დებულება 788

სოფლის მასწავლებელთა შესახებ, გ. გიუნაშვილისა 799

კავკასიის გამოფენა — 809, 829, 845, 861, 876, 909

კავკასიის მებაღეთა კრება . . . . 831

საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეი . 851

სამეურნეო საზოგადოების იუბილეი . . 860

საქართველოს ისტორიის მცოდნეთა საყურადღებოთ, ის. კვიცარიძისა . . . . 878

მცირე შენიშვნა, ერთი ექიმთაგანისა . . 879

მცირე შენიშვნა, ანასტ. წერეთლისა . . 893

სოფლის მასწავლებელთა შესახებ, 40-ძისა . 895

საქართველოს კანონმდებლობის გამოცემაზე, ა. ხახანაშვილისა . . . . . 906

ერთი გაზვიადებული საქმის გამო, Parole-ისა . 907

საყურადღებო პროექტი, ნ. ელიავასი . 919, 1026

ცოტა რამ ექიმთა და მეაფთიაქეთა პრაქტიკიდან, Sandaman-ისა . . . . . 926

წერა-კითხვის საზოგადოების კრება . . 937, 950

ექიმთა კრების გამო, ექიმისა . . . . 944

კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, ი. კაკაბაძისა . 959

წერა-კითხვის საზოგადოების კრება, დამსწრესი . 972

ხმა პროვინციიდან, ჰ. ჭ—სი . . . 1026

თფილისის გამგეობის გასამართლება, გ. ჯ-ისა . 1041

ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოება . 1051

კანვასსობა ბათომის საბჭოში, ი. კაკაბაძისა . 1057

ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგ. პროექტი . 1059

განახლებული „ივერია“ . . . . 1060

შინაური მიმოხილვა—23, 39, 54, 71, 86, 102, 123, 140, 155, 170, 187, 203, 221, 522, 481, 500, 515, 572, 644, 692, 726, 740, 773, 787, 819, 835, 883, 915, 933, 947, 963, 993, 1011, 1034

ჟურნალ-გაზეთებიდან—15, 66, 113, 183, 197, 639. 655, 702, 750, 783, 799, 832, 910, 976, 991, 1024.

მუდმივი განყოფილება „რუსეთის ცხოვრება“, გარდა 1—2-სა.

## IV. მეცნიერება.

მე-XIX საუკუნის ისტორიიდან . . . 15

მწერლობის განვითარება, ფ. მახარაძისა . . 50

ისტორიული მატერიალიზმი, მისივე . 674, 705

ისტორიული მეცნიერებიდან, Ami-სა — 67, 82, 133, 180, 192, 259, 620

როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს! Idem-ისა—631, 651, 668

სამეცნიერო ცნობები . . . 100, 119

მეცნიერება და მეცნიერები, ღ. თოფურიძისა—114, 165, 228, 605, 637, 750, 810

შრომის მდგომარეობა ინგლისში, N-is . 730, 766

ქიმიის მნიშვნელობა . . . . . 733

მცირე შენიშვნა ენის შესახებ, ნ. ასმეტელაშვილისა 781

პროტექციონიზმი, მისივე . . . 863, 893

ფსიხიურ და სოციალურ მოვლენათა თანდათანობაზე, Tusci-სა . . 797, 943, 956, 970

ზნეობრივი კითხვები, ი. გომართელისა—843, 849, 874, 890, 904

მე-XIX საუკ. ბუნებისმეტყველების დედა-აზრი, პ. ს—მისა . . . . 924, 941

წერილები თიანეთიდან, სევ. ჯ-ლისა — 922, 935, 954

პურის მლილი სიმინდზე, აგრ. ტიმოფეევისა . 975

ქლექის სამეფო, მაიაძისა . . . . 1008

ფრიდრიხ ნიცშე, ა. ჩხენკელისა—1002, 1021, 1043, 1060

შავი ჭირი, ექიმისა . . . 1046, 1063

## V. პოლიტიკა და სხვა ქვეყნის ამბები.

მეოცე საუკუნის გარაჟრაჟებაზე, ლ. დ.-სა . 44

სერბიის ახალი კონსტიტუცია . . . 257

წერილი გერმანიიდან, ლ. ახ—შვილისა . . 258

წერილები ბელგიიდან, ლ. დ.-სა—273, 487, 506, 521, 629, 892, 903

პრესსა საფრანგეთში . . . . . 654

მსოფლიოს ამბები (ქალების მოძრაობა), უცნობელისა . . . . . . 683, 699

წერილი მიუნხენიდან, პ. კ—ნისა . . . 987

წერილი ჟენევიდან, ქართველი ქალისა . . 1018

რუსეთი XIX საუკუნეში, Nord-ისა , . 7, 25, 59

პოლიტიკური მიმოხილვა . . . . 43

მუდმივი განყოფილება «საზღვარ-გარეთ» (ყველა ნომრებში გარდა პირველისა და მეორისა).

## VI. პოლემიკა და წერილები რედაქციის მიმართ.

მცირე შენიშვნა, გ. თავართქილაძისა . . . 52

მკითხველთა წერილები . . . . . . 230

წერილი რედაქციის მიმართ, ია ეკალაძისა . . 100

მცირე შენიშვნა, დუნდუასი და ბერძენიშვილისა . 151

წერილი რედაქციის მიმართ, ი. გიუნაშვილისა . 151

საპასუხო წერილი, აპ. წულაძისა . . . . 181

მკითხველთა წერილები . . . . . 184

წერილი რედაქციის მიმართ, გ. თავართქილაძისა 214

წერილი რედ. მიმ. ჭუმბურიძისა . . . . 278

წერილი რედ. მიმ. . . . . . . 608

წერილი ბათომიდან, X-ისა . . . . . 582

ქიათურის ბანკის გამო, ს. ქვარიანისა . . . 623

წერილი რედ. მიმართ, ჭელიძისა . . . . 640

კიდევ ბ. ზდანოვიჩის შესახებ, გ. წერეთლისა . 656

წერილი რედ. მიმართ, ჩინიძისა . . . . 672

პასუხათ ბ. ს. ქვარიანს, ელიავასი . . . . 687

წერილი რედ. მიმ, გ. წერეთლისა . . . . 687

წერილი რედ მიმ. ფ. ქორიძისა . . . . 704

წერილი რედაქ. მიმ. ნიორაძისა . . . . 720

— ნაკაიძისა . . . . . . . 720

— — — ნორასი . . . . . . 720

წერილები რედაქციის მიმართ ჩ-ლისა და ვარდენისა 736

ზდანოვიჩის მომხრეებს გ. წერეთლისა . . . 767

წერილი რედ. მიმ. . . . . . . . 768

წერილები რედ. მიმართ. სუფისპირელისა, ჯანჯღარაძისა და გაჩეჩილაძის . . . . . . 784

წერილი რედ. მიმართ თენიეიშვილისა . . . 800
მცირე შენიშვნა გოგიჩაიშვილისა . . . . 800
წერილები რედ. მიმართ, სცენის მოყვარისა და ჭელიძისა . . . . . . . . . . 814
მცირე შენიშვნა, ცოცხისა . . . . . 815
წერილი რედ. მიმ. თურვანდოვისა . . . 832
წერილი რედ. მიმ. გრ. ელიავასი . . . . 848
წერილი რედ. მიმ. რუისპირელისა . . . . 864
წერილი რედ. მიმართ, ვ. გოთუასი . . . 895
წერილები რედ. მიმ. სტ. შავდიასი, თენიეიშვილისა და გიგაულიშვილისა . . . . . . 927
პასუხი 40-ძეს ურატაძისა . . . . . . 958
წერილი ივერიის რედაქტორის მიმართ, მამულაიშვილისა . . . . . . . . . . 960
მცირე შენიშვნა, ქქიმთ-განისა . . . . . 279
წერილები რედ. მიმართ მოდებაძისა, ყულენტის . 879
პასუხათ ბ. ყუმისთაველს, ნ. ელიავასი . . . 990
დაგვიანებული წერილი, გიგაულიშვილისა . . . 991
წერილი რედ. მიმართ, გიგაულიშვილისა და სხვათა 992
წერილები რედ. მიმართ, ბოლქვაძისა, გაბიჩვაძისა და ლომთათიძის . . . . . . . 1027
აკაკის წერილი «ჯეჯილის» რედაქციის მიმართ 1066

## VII. ᲞᲝᲔᲖᲘᲐ.

***, ლექსი განდეგილისა . . . . . 4
ფიქრი იუდასი, ლექსი მისივე . . . . 165
ახალწელს, კატო მიქელაძისა . . . . 28
***, ლექსი მისივე . . . . . . 80
იმ დროს! ლექსი მისივე . . . . . 602
ნაპერწკალს, ლექსი მისივე . . . . . 921
***, ლექსი მოუსვენარისა . . . . . 95
***, ლექსი ჩხატარაიშვილისა . . . . 148
არ მსურს! ლექსი დარია ხუნდაძისა . . . 275
მაისის ღამე, მისივე . . . . . . 488
რათ მინდა! მისივე . . . . . . 746
***, ლექსი მისივე . . . . . . 843
ჩემ გულს, მისივე . . . . . . 904
***, ლექსი ი. ევდოშვილისა . . . . . 33
გ. წერეთლის სახსოვრათ, მისივე . . . 54
რ. ერისთავს, მისივე . . . . . . 138
გაზაფხული, მისივე . . . . . . 213
***, ლექსი მისივე . . . . . . 218
ტომას გულიდან, მისივე . . . . . 243
***, ლექსი მისივე . . . . . . 259
საღამო, მისივე . . . . . . 651
***, ლექსი მისივე . . . . . . 986
შემოდგომა, მისივე . . . . . . 999
***, ლექსი მისივე . . . . . . 1019
ნაწყვეტები გიოტეს ფაუსტიდან, დ. ნახუცრიშვილისა . . . . . 112, 132, 194
გაზაფხული, ლექსი რუ—სა . . . . . 508
გამხალისებელი ძალა, დ. ნახუცრიშვილისა . 523
***, ლექსი დ. თომაშვილისა . . . . 554
ნაწყვეტები, მისივე . . . . . . 589
სამშობლოს სიყვარული, ლექსი N-სა . . 746
***, ლექსი მისივე . . . . . . 827
ზამთრის პირი, ლექსი ლ. გ. ხონელისა . . 860
***, ლექსი დ. თომაშვილისა . . . . 890
***, ლექსი მისივე . . . . . . 954
სიტყვა, ლექსი ნადსონისა, თარგ. პეტრესი . 1043
***, ლექსი გ. ჯაფარიძისა . . . . . 1055

## VIII. ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐ და ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲔᲑᲘ.

საახალწლო ნაპერწკლები, რიგოლეტოსი . 2
ნაბლერტელა, მისივე . . . . . 33
პანწკები, მისივე . . . 46, 65, 96, 198
სამშობლოს ცაზე, მისივე—717, 765, 778, 938, 973, 1023, 1065
ინტელიგენტი ცხვირი, მისივე . . . 35
პატარა ყარამანიანი, მისივე . . . 667, 732
ყაჩაღი, მოთხრობა მისივე . 888, 906, 921, 951
გონეტუს, ბერნესი, თარგ. იელისა . 841, 858
როგორ იბუტებიან ცოლები, ბერნესი, თარგ. იელისა 826
შავი პურები, ფრანსისა, თარგ. იელისა . . 873
ბილეთი მიიღეთ! მ. ივანიძისა . . . 8
პრომეთეოსი, დ-ისა . . . . 46, 63
სოფლის გმირები, მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა . 78
ცოლი და ქმარი, მისივე — 93, 110, 130, 145, 163, 178, 192, 210, 241
ეფემიას ოცნება, მოთხ. ლალიონისა — 488, 508, 523, 554, 571
ცხოვრების წინაშე, მ. გორკისა, თარგ. სიმ.-ისა 276
უკულმართი, გორკისა, თარგმანი . . . 616
მინდორში, გორკისა, თარგ. გიუნაშვილისა 648, 663
წითელი ვასილი, გორკისა, თარგ. რობაქიძისა—760, 779 და 794
ოცდაექვსი და ერთი, გორკისა, თარგ. ჩიჩუასი — 986, 1000, 1019, 1042
კარგი ხელფასი, ივ. ფრანკოსი, თარგ. იელისა 1055
უკანასკნელი ღამე იუდა ისკარიოტელისა, განდეგილისა . . . . . . . 218
ცნობის მიღება, ან. ჩეხოვისა, თარგ. ახალციხელისა 589
მსხვილი და წვრილი, მისივე, თარგ. სიმ.-ისა . 602
ფოსტის განყოფილებაში, მისივე, თარგ. სიმ.-ისა 682
ის იყო, მისივე, თარგ. სიმ.-ისა . . . 714
ორი ცხედარი, ნატოსი . . . . 635
ნუ მიგყავთ, საზიაროა! იონა თლუქუქისა . 688
სტუდენტის დღიურიდან, ვინ-ქანისა . . 969

## IX. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

კორესპონდენციები: წინარეხი, ხიდისთავი . . 57
ჰიათურა, აცანა . . . . . . 73
სოფ. ბებნისი, სოფ. საგარეჯო . . 88
სოფ. ხული, ს. ბერშუეთი . . . 101
ს. ხაშმი . . . . . . . . 125
ბარცხანა, ს. ახალგორი . . . . 141
დიდი-ჯიხაიში, ქ. ბათომი, ზესტაფონი 151
ს. ბარცხანა, ხაშმი, დ. ყვირილა . 189
ს. წინარეხი . . . . . . . 205
ს. ასკანა . . . . . . . 224
ს. სურები, შემოქმედი . . . . 236
ქართლი, შემახა . . . . . . 253
ს. მათხოჯი . . . . . . . 270
ს. ხევი, ს. სართიჭალა . . . . 484
კლდიეთის საზოგადოება . . . . 502
ქ. ბათომი, წირქვალის საზოგადოება 516
ს. ჩოჩხათი, ს. ბარცხანა, ს. გეგუთი 549
ს. ქვემო-ნიჩბისი, სადგ. აქსტაფა . 566

ს. მიქელ-გაბრიელი, ს. ლიხაური . 581
ს. მეჯრუხევი, ს. ჯუმათი . . . 598
ჭიათურა, მათხოჯი . . . . . . 613
ს. სურები, ს. ბარდნალა . . . 628
ჭიათურა, ხონი, ქ. ბათომი . . . 646
ს. ხაშმი, იანეთი, ჟოშბა . . . 660
ქ. ბათომი, ჭიათურა, ხონი, ახალციხე, ნიჩბისი 677
ესსენტუკი, წირქვალი, იანეთი . . 693
ზესტაფონი, ხაშური . . . . . 708
ალექსანდროპოლი, წინამხარი, პიატიგორსკი, ბახვი, ირკუტსკი . . 727
ეწერი, ბერშუეთი, შემოქმედი . . 742
ხიდისთავი, ჭიათურა, ხონი, ოზურგეთი, სურები . . . . . . 756
ჭიათურა, ბახვი, სალხინო, ახალციხე 775
ჭიათურა, ლეჩხუმი, სურები, ს. ეწერი, პიატიგორსკი . . . . 789
ჯუმათი, სიმონეთი, ჭიათურა . . 804
ბათომი, სიღნაღი, ირკუტსკი, ქობულეთი, კულაში, ყარაღაჯი . 821
ბაქო, ბათომი, ეწერი . . . . —
წერილი ქუთაისიდან, N-ისა . . . 854
ჭიათურა,
ქუთაისი, ხიდისთავი . . . . . . 870
ხონი . . . . . . . . . . 886
იანეთი, ბუგეული, ლანჩხუთი . . 900
მათხოჯი, ირკუტსკი . . . . . 916
ჩოხატაური, სად. ტიხორეცკაია . . 935
იანეთი . . . . . . . . . 948
სოფ. კუხი . . . . . . . . 967
წერილი ქუთაისიდან, ისისა . . 967, 984
ქ. სიღნაღი, სუჯუნა . . . . . 984
ხონი, საჩხერე . . . . . . . 995
წერილი ქუთაისიდან, ისისა . . . 998
სამტრედია, გურია, ჭიათურა . . 1013
წერილი ბათომიდან . . . . . 1017
ოზურგეთი, ქუთაისი, ქსნის ხეობა, ლანჩხუთი . . . . . . 1037
წერილი ბათომიდან . . . . . 1040
დ. ხონი, ს. მიქელ-გაბრიელი . . 1053


## X. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.


1900 წლის სიტყვაკაზმული მწერლობა, ი. გომართელისა . . . . . . . . 12, 26, 96
რ. ერისთავი, როგორც საერო პოეტი, მისივე 133
ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში, მისივე . . . . . . . 244, 262, 277, 491
საერო პოეზია, მისივე . . . . 526, 556, 503, 684
რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში, მისივე . . . . 696, 710, 721, 747, 726, 769.
ბიბლიოგრაფია, გ—ოსი . . . . . . . 18
ბიბლიოგრაფია, მისივე . . . . . . . 49
ბიბლიოგრაფია, მისივე . . . . . . . 66
ბიბლიოგრაფია, — . . . . . . . 113
ბიბლიოგრაფია, რ. ალამისა . . . . . 214
ბიბლიოგრაფია, — . . . . . . . 686, 702
კრიტიკული შენიშვნები გ. წ—სა . . . . 558
ძველი ქართული მწერლობის გამო, ფ. მახარამისა . . . . . . . . . 603
ბიბლიოგრაფია ნ. ელიავასი . . . . . . 1062


## XI. ნეკროლოგები.


თ. რაფიელ ერისთავი . . . . . . . 137
ფრანჩესკო კრისპი . . . . . . . 725
მაკ-კინლეი . . . . . . . . . 803
გ. გ. ევანგულოვი . . . . . . . 837
ბიბლიოგრაფია . . . . . . . . 860
ლ. ნ. ასათიანი . . . . . . . 964
დ. პ. ტერ-დავითიანცი . . . . . . 980


## XII. თეატრის მატიანე.


ჩვენი სხიობა, 34, 66, 80, 831, 847, 848, 864, 896, 901, 927, 878, 1007, 1025, 1066.
ქართული თეატრი ქუთაისში S-სა . . . . 1006
ქართული თეატრი ქუთაისში გ. შავდიასი . . 1047
საქველმოქმედო საქმე — 120, 150, 2000, 232, 1008


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Декабря 1901 г. სტამბა. ი. მარტიროსიანცისა, დიდი ვანქის ქ. № 1—2.

# კვალი

**№ 1** ორშაბათი, 1 იანვარი, 1901 წ. | **საკვირაო გაზეთი** | ორშაბათი, 1 იანვარი, 1901 წ. **№ 1**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ.“

**შინაარსი:** გასული წელი ნ. ჟორდანიასი,—საახალწლო ნაპერწკლები რიგოლეტოსი.—*** ლექსი ვინდევილისა.—ხმა სამარიდან.—წერილი ოდესიდან ვ. შავდიასი.—რუსეთი XIX საუკუნეში №-სა.—„ბილეთი მიიღეთ“ (საახალწლო სურათი) მ. ივანიძესი.—ჩვენი მდგომარეობის სურათი ა. ხახანაშვილისა.—1900 წ. სიტყვა-კაზმული მწერლობა ი. გომართელისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—მე-XIX-ე საუკუნის ისტორიიდან.—ბიბლიოგრაფია და განცხადებები.

## გასული წელი.

კიდევ ერთი წელი მოწყდა დროთა ბრუნვას!

კიდევ ერთი წელი მოსცილდა აწმყოს და გარდაიქცა წარსულათ. ათასცხრაასი მოვგშორდა და ისტორიის სავანეში ჩაესვენა. და ჩვენც რაღაც აღებმიცემით ვეგებებით ძველის დაკარგვას და ახალის შეძენას. ვხარობთ ახალი წლის გათენებას, ვმხიარულობთ დღევანდელ დღეს და მასთან ერთათ ვოცნებობთ საუკეთესო მომავალზე. გავლილი წელი აღარ გვაკმაყოფილებს. და ეს არა იმიტომ, რომ ის მწარე იყო ჩვენთვის, არა, თუნდა სიტკბოების მომნიჭებელი ყოფილიყო—ის მაინც აღარ გვიტაცებს თავისკენ, მას აღარავინ შეტრფის და შეჰხარის. ასეთია ადამიანის ბუნება, ის გამოუცნობელს უფრო ელტვის, მის სივრცეში ფრენა უფრო ესიამოვნება და რაღა გასაკვირალია, გამოცნობილს თავში ჩაჰკრას და დაივიწყებას მისცეს. და ასე, ყოველ პირველ იანვარს ვიჯაბნებთ ძველ წელიწადს და ამ ოდესმე ძლევა-მოსილს ჭაბუკს დამნაშავის ფარაჯას ვაცმევთ.

სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია დღეს ათას ცხრა-ასი წელი. მე მსურს გამოვესარჩლო მას და ეს აბუჩათ აღებული მკითხველის თვალწინ უკანასკნელათ გავატარო. მართლაც, გასული წელი არც ისე დასავიწყარია, ის არც ისე სამარცხვინო მოხუცია. მის მოდუნებულ ძარღვებში კიდევ სჩქეფს იმოდენა ძალა, რომ ყველა ახალგაზდა მისკენ მიახედოს და სული და გული აუთრთოლოს. და თუმცა ის დღეს მკვდარი არის, მაგრამ ისეთი მკვდარია, რომელიც ცოცხალს ორივე ხელით ეხვევა და ყურში ჩასძახებს: ჩემი დავიწყება შენი დამარცხებაა. დიახ, წარსულმა თუ ჭკუა არ გვასწავლა, აწმყოში უეჭველათ დავმარცხდებით; გავლილი გზა თუ ჩვენს მეხსიერებაში არ აღვბეჭდეთ, გასავლელ გზას ვეღარ მივაგნებთ..

შარშანდელი წელიწადი შესანიშნავი იყო ყოველ-გან, ხმელეთის ყველა კუთხეში და მას ამ მხრით არა მგონია, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის რომელიმე წელიწადი ოდნავ მაინც შეედაროს. მაგრამ ჩვენ აქ დავუტევოთ ევროპა, აზია, აფრიკა და სხვა დიდი ქვეყნები და ჩვენს პაწია სამშობლოში დავეშვათ. წარმოიდგინეთ, რომ აქაც ბევრ საყურადღებო და საგულისხმო ამბებს ვნახავთ, ზოგს, რასაკვირველია სასიამოვნოს და ღირს-სახსოვარს, ზოგს უსიამოვნოს და დასაგმობს, მაგრამ ორსავე შემთხვევაში საყურადღებოს-კი. პირველ ყოვლისა, აქ ვამჩნევთ ერთს წითელ ზოლს, რომელიც თანდათან უფრო ღრმად ევლება ჩვენს ცხოვრებას და რასაც ხალხის სიმხნევე და შეგნება ეწოდება. ეს ზოლი კაი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ არასოდეს იმას ისე არ დაუნძრევია ერის ყველა წრეები, როგორც შარშან. თავის თავის ცნობა, თავის ძალ-ღონეზე დაყრდნობა და ერთათ მოქმედება—ნელ-ნელა იფართოვებს საზღვრებს და ხალხის მეტ ნაწილთ იფარგლავს. ეს ფარგალი მთელ ხალხს ჯერ-ჯერობით არ შეიცავს, მაგრამ საკმარისია უმცირესობა შევიდეს შიგ, რომ თან გაიყოლოს უმრავლესობაც. როცა ხალხის ერთი ნაწილი მოიპოვებს შეგნებას, როცა ის ისწავლის ავისა და კარგის გარჩევას,—ამით მთელი ხალხის სვე-ბედი გადაჭრილია, ეს იძულებულია მოიპოვოს ის, რაც მისმა პატარა ნაწილმა უკვე მოიპოვა. შეგნება ისეთი რამ არის, ამბობს ერთი მეცნიერი, რომ გინდა თუ არა—უთუოთ უნდა შეიძინოვო. და აი, ამ შეძენის გზას ადგია დღეს ქართველობა. გასულ წელს მან ეს სულის კვეთება სხვა-და-სხვა სახით სხვა-და-სხვა გარემოებებში გვამცნო, მან ეს ხან მგლოვიარობაში გამოხატა (16 იანვარი), ხან პროტესტით, ხან პირდაპირი ბრძოლით და მრავალი კიდევ სხვა რამით. და ყველა ამაში მონაწილეობა მიიღო როგორც მრეწველმა, ისე მუშამ, როგორც ქალაქელმა, ისე

Библиотек

სოფლელმა ერთი სიტყვით, ჩვენი ერის დაბალ ნაწილებში თანდათან ძლიერდება სიფხიზლე და ცნობიერება და ეს ედება დვრიტათ ახალ ცხოვრებას.

სამაგიეროთ, ეგევე არ ითქმის ქართველობის მაღალ წრეებზე... თვით-მოქმედება და ბეჯითობა აქარა თუ ვითარდება, არამედ სრულიად ისპობა... ,,მძიმეთ დავეცეთ, მსუბუქათ ავდგეთ''. აი აქ გამეფებული ფილოსოფია. ყველა ეს ნათლათ დაგვანახვა გასულმა წელმა.

რაც შეეხება ამათ შუაში მდგომ ინტელიგენციას—გასულ წელს ზოგი „მძიმეთ დაცემის“ მოტრფიალეთ ეხმარებოდა, ზოგი კი „მსუბუქათ ადგომას“ შველოდა... მიუხედავათ ამისა ქართველი ინტელიგენცია საერთოდ აღებული წარმოადგენს ერთ განკერძოებულ მთელს, რომელიც ჩვენი ერის არც ერთ წრესთან არ არის მოქმედებით დაკავშირებული. ის თავის თავს უწოდებს სარდალს და ეს მართალია იმდენათ, რამდენათ შეიძლება უჯარო წინამძღოლს წინამძღოლი ეწოდოს. და აი, სწორეთ ასეთ ყოფაშია დღეს თავის წრეში კარ-ჩაკეტილი ქართველი ინტელიგენცია: ის უჯარო სარდალია. ამისათვის მისი მოღვაწეობა გასულ წელს ძლიერ მკრთალი და უმნიშვნელოა. იმან ვერც ერთი ისეთი საქმე ვერ გვაჩვენა, რომლის შესახებაც შეიძლებოდეს ითქვას: აი, შეხედეთ და დაიხსომეთო. მართალია, ის კიდევაც ლაპარაკობს, სწერს, მოღვაწეობს, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ცხოვრების ზედაპირს ეხება და მის სიღრმეს ვერსად წვდება. ამიტომაც მის „საქმეს“ სასიცოცხლო ნიშან-წყალი არ აქვს და, ხელოვნურათ მოვლენილი, უნაყოფოდ ჰქრება...

ერთი სიტყვით, ჩვენი ერის დაბალი ნაწილების თანდათანი გაცნობიერება და მით ამათი ამაღლება, მისი მაღალი ნაწილების გავლენის მოკლება და, მესამეთ, ინტელიგენციის უჯარო სარდლობა და მით მისი უფერულობა—აი რას გვაჩვენებს გასული წელი, აი რა დაგვისურათა მან. ყველა საზოგადო მოვლენა, რომელიც კი შარშან მოხდა, უეჭველათ ამ სამ მიმდინარეობაში თავს იყრის და მათ ასაბუთებს.

ახალი წელიც ამ გზით იმოგზაურებს? შეითვისებს ათას ცხრაასის ღირსებასთან ერთათ მის ნაკლულევანებასაც?

ამას დავინახავთ გაისათ, პირველ იანვარს.

ნ. ჟორდანია.

## საახალწლო ნაპერწკლები

თქვენ პირჯვარი გეწეროთ და მე კი წუხელის ცუდი საქმე დამემართა. თითი ჯერ კიდევ გოზინაყის ტაფაში მედო, რომ უცებ გაკუდიანება მომინდა. მოგეხსენებათ, ამ ღამეს კუდიანები სულ სხვანაირი ეტლებით დასეირნობენ ხოლმე. მეც, ბევრი ფიქრის შემდეგ, გავეშურე თფილისის საბჭოს დარბაზისაკენ. მინდოდა ამელო აბონიმენტი ერთის ღამით ცოცხზე მოგზაურობისა, მაგრამ დავრჩი უცოცხოთ, რადგანაც ზედ საბჭოს კარებზე შევეხეჩე თფილისის ქუჩებს, რომელთაც ზედ ზურგზე წამოეკიდნათ მეცხრამეტე საუკუნე თავის ნაგვით და სასტიკის ბრძანებით თხოულობდენ: „ამ[illegible]ლას ზურგი ვეღარა ზიდავს, ან გადაგვცოცხეთ, ან გაიცოცხენით''. ნუ გაგიკვირდებათ, ბატონ-ქალბატონებო, ეს საკვირველება! ხომ იცით, კუდიანობის ღამეს ყველაფერი ხდება ხოლმე როგორც ქუჩებში, ისე დარბაზებშიაც. აღარ მინდა ცოცხი, გადავწყვიტე მეც და მოვითხოვე ,,მურია'', ვზაში ჰამ ვინადირებ, ჰამ ვიმოგზაურებ მეთქი. მურია იმისთვინ მოვითხოვე, ბატონ-ქალბატონებო, რომ სწორეთ ახალ-წლის დღისთვის თფილისის ყველა ძაღლიან მცხოვრებელს აქ უნდა წარმოედგინა მეტრიკა თავისი ოთხ-ფეხისა, რომ საბჭოს სისრულეში მოეყვანა ერთი უჯრა თავისი გასავალ-შემოსავლისა, ესე იგი სისრულეში მოეყვანა თავისი გადაწყვეტილება ,,ძაღლებზე ბაჟის გაწერის შესახებ''. ჰოი, კუდიანო ეპოქავ (მე ეპოქას კუდიანთა ენაზე ბნელს ღამეს ვუწოდებ), მეტრიკის მაგიერ საბჭოს წარედგინა ყმუილით და ღმუილით ჭრელი სია, რომელ გოშიას რამდენი ძვალი და ათასი სხვა ნაყარ-ნუყარი აუკრეფნია თფილისის ქუჩებზე და მით დაუხსნია მცხოვრებნი ასტრახანიდან ე. ი. შავის ჭირიდან და თუ გსურთ ნაცილიდამაც. რომელი სტყუოდა, რომელი იყო მართალი ამასაც და იმასაც გაარჩევს მეოცე საუკუნე, ხოლო მე, მე კი ლამის ისევ ცოდვილ დედამიწაზე ვრჩებოდი.

რა ვუყოთ, ისევ კატაზე გადავჯდები; ზვანოკიც ზედა აქვს მიაუს და ფეხ-მარდობაში ხომ რობის ფუნიკულიორიც ვერ მეეწევა მეთქი. დავამყარე ჩემი იმედი კატაზე, წაღები მაღლა ავიწიე, საუზანგოთ დავემზადე, მაგრამ პირკატა მეცა, როცა საბჭოს სტოროჟმა საიდუმლო ხმით შემატყობინა; „ბატონო კუდიანო, გთხოვთ კატას ნუღარ ახსენებთ, რადგანაც თფილისის ამბარში თაგვები ძლიერ სწყრებიან მაგ სიტყვის გაგონებაზეო''.

ეჰე, რა გინდოდა ჩემო თავო, მჯდარიყავ შინ და გელოკნა ფალუსტაკი! ვუსაყვედურე ჩემს სალერღელს და ის იყო უნდა დამეკარგნა იმედი და სასოება, რომ უცებ ბ-ნი ინფლუენცია ამომიჯდა ლაჯებში. წოპ! მოიცა, ძმაო, შენც ჩვენი რკინის გზის უცუნა ხომ არა ხარ, რა უცებ დამეჯახე. მედა ჩემმა ღმერთმა, ,,გავიფიცები'', თუ თავს არ დამანებებ, გავიფიცები, რომ თავის დღეში აფთიაქში აღარ შევიდე და არც ექიმს ვეჩვენო. შენ ერთი ეს მითხარ, შუა ხომ არ გიყოფენ ორივენი თავის მოგებას, რა ალალმართლათ ემსახურები ამ ესკულაპებს.—მივაძახე აქ არა-მკითხეს და ისეთი დეზი ამოვკარ, რომ სულ პაჟარი გავუჩინე გვერდებში. აი ასეთი პაჟარი, გუშინწინ რომ ქართულ თეატრში აპრიალდა; სად იყო ეს ოხერი წინეთ. რა იცოდა დრამ. კომიტეტმა, რომ, თუ სინათლე უნდოდა, ცალ მხარეს ცეცხლი უნდა წაეკიდებინა თეატრისთვის და ცალ მხარეს კიდევ წარმოდგენა წარმოედგინა; იმან კი პაჟარი თავის ჯიბეში მოახდინა, თითქოს მართლა თეატრის კომისია მისი პაჟარნი-კამანდა იყოს, რომ გულშიაც ცეცხლი გაუნელოს და ცოტა შუბლიც გაუგრილოს!

არა, ძმაო ინფლუენცია, მედა შენ ამხანაგობა არ გამოგვადგება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაზღვეული ვარ მაჩხაანის ოპო-ბაბა[illegible] და არც შენ მოინდომებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ განსვენებულის ძვლების შეტოკებას და მეორე ისა, რომ შენისთანა ,,მიკრიკს" გზას არ აძლევენ სამოთხისაკენ და ამას წინეთ ეროხ ფეხებიც გაუკრეს და მეორეც ისა, რომ ხვალ ვიზიტიორებს ვილა მიიღებს ალსავლის კარებში-მეთქი. ვუთხარ ჩემ ძალათ-მაცხონეს და გავეშურე ფეხით ჩვენი „შუამავლისაკენ", რომ ეგები ,,პირიან ფასათ და კაი ღირების'' სიმართლე შემეტყო. შემეტყო: არის თუ არა შუამავალში „საშუალება, რომ" მან, ვითარცა შუამავალ-მაჭანკალმა, იშუამავლოს ცისა და ქვეყნის შუა, რათა ეპატიოს ცოდვანი მისი, ვინც იგი კუჭშუა გაატარა. ,,მშვენიერი ნიშადური მოგვივიდა საზღვარ-გარეთიდან, თნებებთ, ბატონებო?--შემომეკითხა შესვლისათანავე გლავნი პრიკაზჩიკი.—პაის მაგიერ ახალ-წლისათვის ჩვენმა წევრებმა ყველამ წაიღესო''. მეტი რა ღონე იყო, როგორი ქართველი ვიქნებოდი არ დამეტოვებია ერთი ორი ფარა. სამაგიეროთ მოვიპოვე ნიშადური, წავიცხე ქუსლებზე და ჰერი!... როდესაც მაღლა-მაღლა მივდიოდი, მხოლოთ მაშინ მიხვდა შუამავალო, ვინ ვიყავ მე და შემომძახა: ,,პოყოლოუსტა, თუ ქიზიყისაკენ წახვიდე, მომიკითხე მაჩხაანის დეპო-ბანკი და უთხარ: შენს ცხონებას, ხარჯის შესამცირებლათ ორივემ ერთი კუბო ვიყიდოთ-თქო.'' არ დამავიწყდება—ჩამოვძახე მაღლიდან და მოვუსვი წართლაც კახეთისაკენ; კუკის ხიდზე რომ გავდიოდი, ისეთი ტკბილი ხმა მომესმა, რომ ძალა-უნებურათ ავტრიალდი ჰაერში და გავინაბე, დავუგდე ყური და აი რა სიმღერა გავიგონე: შირბის მიმათვრენის ხმაზე.

მიდის მიკოჰლობს უგზო უკვლოთ ილოს გაზეთი,
უკან მისჩხავის აბლაკატი მას შტატ-გარეთი,
გასწი, გაზეთო, შენს კოჰლობას არ აქვს სამზღვარი,
ვინც რა უნდა სთქვას, როგორც ღმერთი, ერთი გვაქს
მხარი.

მირბის მიკოჰლობს უგზო-უკვლოთ ილოს გაზეთი,
ირგვლივ სიჩ.უმე, თანამშრომლებს ჩამოსდით ზეთი.

ოხ, დასტკბეს თქვენი გული, როგორც მე დავტკბი და დავტკბი. ამისთანა მელოდია კარგა ხანია აღარ გამიგია. ასე დატკბარი გადავევლე ავლაბარს თავზე და გავუდექ ქიზიყისაკენ. ის კი იყო მთვარე ,,იალ-ციალ-პრიალ''-ით ამოვიდა კავკასიის მთებიდან და მეც ზედ მაჩხაანის დეპოს სისწვრივ შევჩერდი. ,,ქიზიყის სამოთხე'' წავიკითხე ვივესკაზე და გამინათლდა პატიოსანი გული. არა, როგორ არ გამიხარდებოდა, რომ მას შემდეგ, რაც ევამ შესცდოდა, ადამის შვილებს აღარ გვინახავს სამოთხე, სადაც მუქთათ აჭმევენ, ასმევენ და აქეიფებენ. იღბალზე კაი დროს მოვედი. სამოთხის ნუკრებიც აქ იყვენ და თვით სამოთხის აშენებლებიც. ავ თვალს რომ არ დეეცადნა, ისინი მკითხავის რჩევით შეგროვილიყვნენ ღამე და კრება გაემართნათ. დაწყნარდა აქეთ-იქიდან ჩურჩულ-კურკური და წამოდგა თავმჯდომარე. მაგრამ ამ კუდიანობის ღამეს ყველაფერი კუდიანურათ ხდება ხოლმე, თავმჯდომარესაც ისე დაემართა. მას უნდოდა (ორჯელ წყალი გამოივლო პირში) პირწყლიანი სიტყვა წარმოეთქვა ქიზიყის აყვავებაზე, მაგრამ თვისდა უნებურათ სიმღერა დაიწყო და გაიმართა:

მაჩხაანის დეპოს კონცერტი.

თავმჯდომარე. მოდი ვნახოთ დეპო, რამ შეჭამა დეპო?
გულადი წევრები. მივედ ვნახე დეპო, კუჭმა ჭამა დეპო!
დანარჩენი გვამნი. კუჭმა დეპო, დეპო კუჭში,
დაუსტვინეთ კასის ყუთში!
ხმა გარედამ. აპრიწუწუ დეპო-ბანკო,
მშრალზე გამოხველ უმანკო,
ქალაქში პოლოსა სტირის:-
,,ვაიმე, ვექსილის ბლანკო!''

ეს აურ-ზაური რომ ხდებოდა, წამოდგა ქიზიყის ელიბო და უნდოდა თავისებურათ პანტის ზარბაზანი ეხეთქებინა ,,ჩარჩ-ბაცაცებისთვის'', მაგრამ დეპოში ყველაზე მეტი გოზინაყი იმას ეჭამა და ორატორ ენაზე სიტყვების მაგიერ ნერწყვი მოადგა და იმანაც სიმღერა დაიწყო მხოლოთ მწარე ხმაზე:

სიმღერა ელიბოსი.

ია ვნახოთ ვენახი, ვისი არი ვენახი?
მივედ ვნახე ვენახი, ჩემი არი ვენახი,
დეპოს ფულმა ააგო, არის მუქთა ქელახი!

თურმე, ნუ იტყვით, ამ ვაჟბატონს დეპოს კასა თავის ვენახში ჩაუტანია და ეხლა ფერხულს იმიტომ თამაშობდა. დაღონდენ ქიზიყელები, გამწარდენ ახალწლის ღამეს და თვალ-ცრემლიანი დაჰყურებდენ თავიანთ ,,დაკარგულ სამოთხეს!'' მეც აღარ, გავჩერებულვარ იქ დიდი ხანი. აბა იქ რაღა დამაყენებდა, თქვენი ჭირიმეთ, იმათი ცოდვით. არა ისევ იმერეთისაკენ მირჩევნია—ვიფიქრე გულში.—ისინი უფრო მხიარული ხალხია მეთქი და მოვუსვი კორტოხისაკენ. არც შევცდი. ჩავუქროლე თუ არა ქუთაისს, მაშინვე გულს ნათელი მოადგა და ეს ნათელი იყო იმ ბრწყინვალე გვამთა, რომელნიც აშორდიას ფაბრიკიდან გამოვიდნენ. მთელი ქუთაისი სულ გაბრწყინვებული იყო. რა აკლდა, მითხარით! სახალხო თეატრის ბაჯაღლო, არხივის ილლიუმინაცია, საცა მან გააჩინა ცეცხლი, რომ ძველი ცოდვები ერთიანად დაეწვა და ხვალ, ხვალზევით ხომ კონკითაც გაუჭედებოდა ახალგზას. აი ნამდვილი დახვედრა აქა სცოდნიათ-მეთქი, მესიამოვნა, მესიამოვნა მედა ჩემმა სულმა და რა გადავწერე ქუთაისს პირჯვარი, გავუდექ გზას ღიღინით.

ქუთაოურების დიდინი.

კონკებიან ქუთაისს
კონკით სეირი უნდა,
რადგან ძველი სძაგს და სძულს
არხივს ცეცხლი წაუდვა.
ბულვარზე გახეთქილა
ჭორების დიდი გუდა,
ფრთხილათ, რომის პაპებო:
მთვარე მთლათ გადმობრუნდა!

მივღიღინებდი გზა და გზა ტკბილათ, მაგრამ რა იყო ეს სიტკბოება შედარებით იმასთან, რომელიც მე ვიგრძენ, როცა ბათუმს დავუახლოვდი. კაცს რომ ბედი მიეცემა, ხომ სულ ერთბაშათ მიებერტყება. თურმე ბათუმის ვაჭრებს რაც მალაზიაში მუშკამბარი ჰქონდათ, აეკიდნათ თვითონვე ზურგზე და მიჰქონდათ ქალაქის საბჭოში. მერე განა თავის გულებისთვის მისცემოდენ ეს მეცენატები ამისთანა სატანჯველს. სრულებითაც არა, „მათ აიძულებდათ მამობრივი სიყვარული'' თავის შვილებულ-პრიკაზჩიკების მიმართ და მუშკამბრიანის ენით სთხოვდენ საბჭოს, დაეხსნა ,,მათი შვილები'' იმ ტანჯვისაგან, რომელიც მათთვის კვირა უქმე დღეობით ,,თავის-

უფლებას'' მიეყენებინა. ,,ნუ, ნუ იზამ მაგას, ნუ გვართმევთ შვილებს, ჩვენ ისინი ისეთის სიყვარულით გვიყვარს, რომ არ შეგვიძლიან მათი მოშორება კვირა-უქმე დღეებშიაც-კიო''—ქვითინებდენ მამები და თხოულობდენ შვილების დაბრუნებას. საბჭო სდუმდა. ,,კალენდარი'' თავისას არ იშლიდა; უქმეებს უქმეებზე უგზავნიდა ბათუმს და თვალ-ცრემლიანი მამები-კი მუშკამბარს ემდურებოდნენ ,,მწარე გამოდგაო''. შეიძლება იმათთვის მწარე იყო, ხოლო მე-კი მეტკბილა სწორე მოგახსენოთ და გაგულისებულმა შევინავარდე ვარსკვლავებისაკენ. ნიშადური თანდათან გაძრიელდა და აღარ მაყენებდა ერთ ალაგას. ზედი-ზედ გადავუარე ოზურგეთს და სოხუმს უთავო თავებზე და გავექანე ფოთისაკენ. ფოთი იცინოდა, არ ვიცი ჩემი მისვლა გაუკვირდა, თუ კითხულობდა ახალ კალენდარს, სადაც დაწვრილებით იყო აწერილი, როდის მიდის ბ-ნი ნიკოლაძე საითმე და ან როდისა ბრუნდება. უხაროდა ფოთს: შეხედეთ, ,,ჩვენცა ვმოძრაობთო", მართალია ფეხები ადგილზევე გვაქვს გაჩერებული, მაგრამ „თავი ხომ დადისო". მეც სიცილი ამიტყდა, ვიცინოდი, ვიცინოდი და უცებ ჰყიტ! თურმე სიზმარში ვყოფილიყავ. ნეტა დემეკვებოს მაინც მეოცე საუკუნეში ამისთანა მხიარულება.

რიგოლეტო

***

კ. რ—ის ლექსი

Когда креста нести нѣтъ мочи...

როს ვეღარ შევძლებთ ჯვარის აზიდვას,
როს ვეღარ დავძლევთ ხვედრს სამწუხაროს,
მაშინ ჩვენ თვალთა მივაპყრობთ ზეცას
და გულ-მხურვალედ ღმერთს ვვედრით იმ დროს,
რომ მადლი თვისი გარდმოგვივლინოს.
მაგრამ როდესაც ჭირ-გამოვლილნი
კვალად შევხვდებით მომღიმარე ბედს,—
სულით და გულით ვმადლობთ, თუ არა,
კაცთა-მოყვარე და მოწყალე ღმერთს?..

განდეგილი

# ხმა სამარიდან

„ყბად-აღებული წყალ-წაღებულიო"—იტყვიან ხოლმე და სწორედ მეც ასე დამემართა! შარშან ამ დროს, ესე იგი ახალ-წლიწად დღეს ყველა გაზეთებმა ერთხმათ დასცეს კივინა: მადლობა ღმერთს, ჩაძაღლდა ის სულ-კატიანი ათას-ცხრაასი წელი, გადავრჩით იმ კუდიან მათუსალას და აწ-ღა გვიდგება დრო ნეტარებისა და განცხრომისაო! ზოგიერთმა ჩემი გარდაცვალების შესახებ კრინტი არ დასძრა და პირ-და-პირ რიხიანათ წამოიძახა: ესეც მეოცე საუკუნეო! ღმერთო, დიდებულო! როგორ ბასრ მახვილათ მოხვდა ჩემს მოხუცებულ გულს ესა! არა, სულზე ხელი დაიდეთ და ისე სთქვით, ამისთანა უსამართლობა მოსათმენია? მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი სიბრძნის პატრონი რომ არ ვყოფილიყავ, ჭკუიდან შევცდებოდი... მოდი და ნუ გაგიჟდები, როდესაც ნებითა და შეჟვნითა ღვთისათა ცოცხალი ხარ, ისევ მეცხრამეტე საუკუნის სიხელი გქვიან და შენ კი ნეკროლოგს გიწერენ, ანდერძს გიგებენ დაგასაფლავებენ...

უნდა მოგახსენოთ, რა მდგომარეობაში ჩამაგდო ყველა ამაებმა, არ შემიძლია აგიწეროთ, ხოლო, თუ გსურთ შეიტყოთ რასა გრძნობს ის, ვისაც ცოცხლადვე ასაფლავებენ, ჰკითხეთ და შეიტყობთ. ხომ ბევრია თქვენ შორის ისეთი, რომელსაც უზენაესმა განგებამ ხანგრძლივი სიცოცხლე არგუნა, მაგრამ ზოგიერთ გაზეთის უქვენაესმა არ გაგებამ გაასტუმრა წიაღსა შინა აბრაამისსა, უსაგზლო შეუსაბამო ნეკროლოგი და ბოლოს ბოლოში მოიხადა: „უკაცრავათ, მაგრამ მკვდარი მეგონე და იმიტომ გაგლანძღეო". ერთმა საპატიო მიცვალებულმა მიამბო, რომ არის ერთი გაზეთი, რომელსაც „ძმობის ფურცელი" ეწოდებაო. იმ გაზეთმა ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი, რომ პატივისცემით მოიხსენია ჩემი ვინაობა და საუკუნო განსასვენებელსა შინა გამომისტუმრაო. რას ვიზამდი, ბევრი ვიფიქრე, ვიყოყმანე, მაგრამ ხათრი ვეღარ გავუტეხე და დავთანხმდი გაზეთის განაჩენს: ავიკრიბე გუდა-ნაბადი და წამოვედიო.

თუ თქვენც დამეთანხმებით, ახირებული „ძმობა" სცოდნია ამ ფურცელს!

ჰო, იმას მოგახსენებდით! ბევრი მიკიჟინეს—წასვლა და აღარ მოსვლაო და მეც მოვედი ჩემს სამუდამო განსასვენებელ ადგილს, მაგრამ ვინ მოგასვენა? რა ბძრანებაა, ეს ამოდენა მკვდრები დამესივნენ და ცისა და ბრის ამბავს მკითხავენ...

— ეი, შენ, ახლათ მოსულო, რა ამბავია ქვეყანაზე?—ჩამძახა ყურში ერთმა ჩონჩხმა და ისე ღონიერათ დამანჯღრია, რომ კინაღამ თავქვე დავეცი.

— რა ამბავია და მშვიდობა... უკაცრავათ... არ ვიცი რა ამბავია, რომელი ერთი გითხრა.

— საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში რა რჯულის ხალხი ცხოვრობს?

— ყოველი რჯულისა: ურია, თათარი, ბერძენი, სომეხი, ერთი სიტყვით, კიკოლა და მახარა.

— ქართველი?

— ქართველიც ურევია აქა-იქ, მაგრამ ქართული ისე არ იცის, როგორც ახლა მე არ ვიცი ჯოჯოხეთში ამომაყოფინებენ თავსა, თუ სამოთხეში.

— ჰკრი ჰა!

— არა, მაგას თავი დაანებე და მიპასუხე! რა მდგომარეობაშია ქართული თეატრის საქმე?—მკითხა მეორე მკვდარმა, რომელსაც მეტი სიგამხდრისაგან გვერდი გვერდზე მიჰკროდა.

— უკაცრავათ... თქვენ?...

— მე რა, მე არტისტი გახლავართ, ბატონო ჩემო; შეგიძლიათ თქვენის თვალით დარწმუნდეთ! აი დაფნის გვირგვინები, რომელსაც აღტაცებული ხალხი მიძღვნიდა ხოლმე ჩემს ბენეფისში. დიახ, ესენი მე მეკუთვნიან, თუმცა, მართალი მოგახსენოთ, ყველა ამ გვირგვინებს მირჩევნია ერთი კარგი სადილი... უკაცრავათ,—საკუთარი, რომ ჩემამდე მიღწეულმა საკურთხის სუნმა საიქიოს შიმშილისაგან დასუსტებული გული სააქაოს მომიბრუნოს.

— ბატონია...—წამოვიწყე, მაგრამ ჩემი მოსაუბრე ყანყრატოში მეცა და რამდენჯერმე დაჟინებით გამიმეორა:

— როგორაა, როგორაა თეატრის საქმე?

— ძალიან ცუდათ! რაც შემოსავალი აქვს დრამატიულ საზოგაოოებას, ის სულ ჯარიმებს უნდება, რადგან ბრწყინვალე თავადთაგან შემდგარმა კომისიამ ამ საქმეშიაც ბრწყინვალეთ დაგვირგვინა თავისი უვიცობა. რაც შეეხება ქართველ არტისტებს, ყოველთვის დიდი მეცადინეობა და უნარი ეტყობათ როლის უცოდინარობისა...

— თუ ღმერთი გწამს, ერთი ჩემკენაც მოიხედე— მომაძახა მესამემ,—რა გზას ადგია ქარტული მწიგნობრობა? ნეტა მიბოძეთ გაგეცნოთ, მე პოეტი გახლავართ...

ვაი ჩემი ბრალია მეთქი! გავიფიქრე, მაგრამ უცბათ მომაგონდა, რომ რედაქტორი არ ვიყავი და, მაშასადამე, პოეტის მოშორებაც ადვილი არ იყო.

— კარგ გზას!—ვუპასუხე პოეტს. ყოველი კაცი მწერალია და ყველა რედაქტორობას ცდილობს. პოეტებს ხომ ნულარ იტყვით: შეგიძლიათ ჩინეთის ოთხას მილიონ მხცოვრებ ხალხს მარტო ქართველ პოეტთა რაზმი მიუსიოთ და მიწასთან გაასწოროთ. მაშ!

— ერთი ეს მითხარი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებები როგორ დასრულდა? ვინ აირჩიეს გუბერნიის მარშლათ?

— პო-პო-პო-პო! შენი ჭირიმე, მაგაზე ნურაფერს მხითხავს. კინალამ საჯაყი მარცხი მოუვიდათ... ჯერ, ბატონო, „ქე“ ექუცმაცებოდენ ერთმანეთს, მაგრამ საქმე რომ არჩევნებზე მიდგა, ხომ გამოჩნდა ხოხბის კუდი!?... გამოიბრინჯენ და ცხრა ადლ-ნახევრიანი რეჩებით ყურები გამოუჭედეს „ობჩესტვოს“. ჩვენო, შენ ხარ ჩემი ბატონი, დიპლომი არა გვაქვსო, მაგრამ ისე ძაან ბიჭი ვართო... არა, ესეც კი სათქმელია, რომ დიდი ფასი არ ჰქონია ამ დიპლომს. დიპლომიანი არ იყვნენ, რომ აშორდიასეულ დიპლომს ეძებდენ?

— ვინ არის ახალი მწერალი?

— ყოვლად სახელოვანი თლაფსუ კვირაია, რომელმაც ჯერ-ჯერობით თავი მხოლოთ იმით ისახელა, რომ სხვათაგან დათესილ მარცვლებს სათითაოთ ჰკენკს და ისევ სთესავს.

— კნიაზ-ჯან, შენ გეთაყვანე, ერთი მიბრძანე საიქიოს რას უფრო კაი გასავალი აქვს?—შემეკითხა ერთი ლიპ გადმოგდებული მკვდარი და ისე წამოიჯგიმა წინ, რომ ჩემი პოეტი ფირფიტანასავით მიატყვა მეორე კუთხეში.

— ქუთაისში ოთხ აბაზიან მარკას ხოლო თბილისში უჩოტნი ვექსილებს.

— ახარ; ისე ვარაუდით გავიგე, ერთი ახალი ბანკი კიდევ დაიარსესო, მართალია?

— დიახ, მართალია, მაგრამ იქიდგან მხოლოდ ის სარგებლობს, ვისაც „იჩუჩი და ნაჩეჩი“ სწყალობს.

— ვაა, ეგ ვიღაც ნაჩეჩია დიდი ვინმე ყოფილა აი!...

— ამასთან ის გულთმისანიც არის.

— ეგ როგორ?

— ისე რომ, ესთქვათ, თქვენ დიდ-ძალი ადგილ-მამული გაქვთ, ყველა ეს გირაოთ შეგაქვთ ბანკში და ოც-და-ათ თუმანს თხოულობთ. ბანკი უარს გეუბნებათ იმ მოსაზრებით, რომ ნაჩეჩის გულმა უგრძნო და ეს ფული დაიკარგებაო.

— მერე იმის მეტი აღარავინაა ბანკში?

— არიან, მაგრამ ყველა მისი ყურ-მოჭრილი ყმაა. ისინი წარმოადგენენ მხოლოდ სულიერ ქანდაკებას და თავიანთის მოქმედებით ამტკიცებენ, რომ ჩვენ ყველა რეგვენები ვართ და მხოლოთ იჩუჩ-ნაჩეჩია ბრძენთა ბრძენი მეცნიერიო.

— ვაა, პატიოსანი კაცი უგირავოთაც არ გაექცევა ოც და ათ თუმანს!

— პატიოსნებას, ესე იგი ზნეობრივს ცენზს, ზოგიერთისთვის არაფერი ფასი არა აქვს...

— გეცოდინებათ, რას აპირობენ სოხუმელები. ჩვენ გავიგეთ, მეორედაც დაუწუნებიათ მათი არჩეული ქალაქის თავიო,—მკითხა სხვა მკვდარმა.

— რა მოგახსენოთ, ისე, ჭორათ გავიგეთ, ვითომც უმაღლეს მთავრობასთან აპირებენ ჩივილსაო.

— ისიც გეცოდინებათ, რა ჯილდო მიიღო „კახეთის მევენახეთა საზოგადოებამ“ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე?

— ჯილდო არ მიუღია, მაგრამ ზარალი კი დიდი მიიღო, რადგანაც უთავბოლოდ გაგზავნილი ღვინო უთავბოლოდვე დაეკარგათ.

— ქართული განყოფილება როგორ მოიწონეს, ან როგორი ტიპები იყო ქართველებისა გამოფენაზე?

— როგორი და აი მომისმინეთ. თქვენ უთუოთ გენახვებათ ერთი დაბალ დაბალი დედა-კაცი, რომელიც მუდამ ალექსანდროვის ბაღის კიდეზე ზის?

— როგორ არა, აი, ის ჩიხტი-კოპიც რო ჰხურავს, —არა?

— დიახ, დიახ, სწორეთ ის. ხომ შეგინიშნავთ, რა რიგათა აქვს ჩიხტა მოქცეული და რა სასაცილოობას წარმოადგენს ყველა ეს.—აი, სილამაზით განთქმულ ქართველი ქალის ტიპიც, რომელიც გამოფენაზე გაჰგზავნეს, სწორედ ამ ბრმა დედა-კაცის ასლი იყო თავის ჩიხტა-კოპ-ლეჩაქიანად. რაც შეეხება ქართველ ვაჟკაცთა თვალ-წარმტაც ტიპს, ამის ცოცხალი „ტიპი“ იყო თვით ბ-ნი ისარლიშვილი. ამასთანავე იყო რამდენიმე ნატეხი მადნეულობისა, ორიოდე გირვანქა სიმინდი და მორჩა, გათავდა. სამწიგნობრო განყოფილებაში გარდა ორიოდე დამტვერულ წიგნისა არა ეგდ-ორა; არ იყო არც ძველი ხელნაწერები, არც ის ძვირფასი მხატვრობა-ხარატობანი, რითაც საქრთველო ბიზანტიის შემდეგ, ნაქები იყო. ვერ ნახავდით ვერც ქართულ სიმღერა-გალობათა ნოტებს და ბევრ სხვა ღირს-შესანიშნავ რამეს, რაც, ქართველთა სასირცხვილოდ, უცხოელებმა იციან და თვითონ მეპატრონეებმა კი არა.

— მაშ სამასი თუმანი რაზე დახარჯეს?

— იმაზე, რომ თავიანთი სიგლახე ეჩვენებინათ ქვეყნისთვის. და ამისთვის, თუ თქვენც დამეთანხმებით, ფული არ იყო საჭირო, რადგან არა ერთ გზის დაუმტკიცებიად თავიანთი არარაობა. აი, ბატონო ჩემო, თუ გნებავთ ამავე დროს წაიკითხეთ „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული წერილი ოდესელ სტუდენტისა.

ასეთი გულის-მკვლელი წერილი არა ერთი დასტამბულა ქართულ გაზეთებში, მაგრამ ზოგიერთს ამათი წაკითხვა მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ ამ ბატონებს... მე თითონ მქონდა ერთს თავადთან ამის შესახებ ბაასი. ერთხელ მასთან სტუმრად გიახელ და, სხვათა შორის, სტოლზე „ივერია“ დავინახე.

— თავადო, რა არის ახალი დღევანდელ „ივერია“-ში—ვკითხე.

— სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, მე არ ვკითხულობ „ივერია“-ს.

— რატომ?

— იმიტომ რომ უფრო საინტერესო გაზეთების წაკითხვასაც ვერ ვასწრებ და „ივერია“...—აღარ დაათავა თავადმა.

— მაშ, რისთვის იწერთ?

— იმისთვის, რომ „ივერიის“ რედაქტორი ჩემი კარგი ნაცნობია. რაც ერთია, სადმოობით მოსამსახურეებს გააქვთ სამზარეულოში და თავს იქცევენ.

— მართალი მოგახსენოთ, ვერაფრათ მადლობელი დაგრჩებათ „ივერიის“ რედაქტორი, თუ იცოდეს, რომ თქვენ ასე ცოტათ გეპიტნავებათ თქვენი ქვეყნის ავ-კარგი. გაგზეთს, ბატონო ჩემო, ნაცნობობის ხათრით-კი არ იწერენ, არამედ იმისთვის, რომ ყური ათხოვონ ხალხის მაჯის-ცემას.

— როცა არა ჰყრია-რა შიგ?

— როცა არა წაგიკითხავთ-რა? მაგალითად, წაიკითხეთ ესა და ეს წერილი?

— არა.—დარცხვენით მიპასუხა თავადმა.

— და მეც მაგას მოგახსენებთ...—ცოტა არ იყოს მკვახედ მივახალე თავადს და გამოვემშვიდობე.

ჩემს მოსაუბრე კვლავ კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ახლა სხვა ჩონჩხი ამეტუზა გვერდით, და „მოამბე“—„ცნობის ფურცლის“ ამბავი მკითხა.

— „მოამბე“ ვეღარ მოამბობს! იგი არის „ცნობის ფურცლის“ დავესკა და, როგორც დავესკას, მოგეხსენებათ, ნაკლები მუშტარი ჰყავს.

— რას იგვიანებ, რატომ არ მოეხირები? უეცრად დამიყვირა ერთმა უზარმაზარმა ჩონჩხმა და სულ პანღურის ცემით გამიგდო წინ...

— სად მივყავარ და სად არა, ჯერაც არ ვიცი, მაგრამ ჯოჯოხეთში მოვხვდები თუ სამოთხეში, სულ ერთია, ყველგან ღირსეულათ მოგიხსენიებსთ თქვენი მოყვარული

ათას ცხრაასი წელი.

## პროფესორის ვასილ პეტრიაშვილის იუბილეის შესახებ

(წერილი ოდესიდან)

ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან დროებით წაბორძიკებული ჩვენი ცხოვრება ხელ-ახლა იწყებს განახლებას და თავისი ჩვეულებრივი გზის განგრძობას. 1850 წლებში საზოგადო მოღვაწეთა რიცხვი გამრავლდა. ამ ხანებში გამოდის პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“. მოახლოვდა სამოციანი წლებიც!.. რამდენიმე წელიწადიც და საზოგადოებრივი ცხოვრება გა[illegible]ხა. პრესა, თეატრი — აი მაშინდელ მოღვაწეთა სარბიელ[illegible]-დან დაწყებული დღემდე მოძრაობას შესამჩნევი წინსვლა ეტყობა. სიტყვა-კაზმული მწერლობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა ევოლიუციის გზას დაადგა და ყველა დარგმა ნიჭიერი წარმომადგენელი იშოვა; ამ დარგებში ქართველებმა ეროვნული, ნაციონალური რამ შევქმენით კიდეც. ერთათ-ერთი დასაკლისია ის, რომ ახალი ცხოვრების დროს ვერ შევიძელით ნამდვილი მეცნიერული სკოლის შექმნა. გვყავს მეცნიერები, მარა... ამ გვარ მდგომარეობაში ჩვენ თამამათ შეგვიძლია აღვიშნოთ ის პროფესორები, რომელნიც, გარემოების მეოხებით, სხვა ქალაქებში დაბინადრებულან. ისინიც ჩვენი ქვეყნის შვილები არიან, მისი ძუძუთი აღზრდილნი. დასახელებულ პროფესორთა შორის საპატიო ადგილი უკავია პროფესორ ვ. პეტრიაშვილს, რომელსაც დღეს ოცდა-თუთხმეტი წელი უსრულდება დაბოტანიკატათ დამტკიცების შემდეგ. პატივცემული იუბილიარის დღესასწაული იმავე დროს არის ქართული ახლათ აღორძინებულ მეცნიერების და პრესის დღესასწაულიც. მიუხედავათ თავისი ქვეყნის სიშორისა, ნიჭიერ იუბილიარს არ შეუწყვეტია სულიერი კავშირი ძვირფას სამშობლოსთან. ჯერ კიდევ ლაბორანტობის დროს იუბილიარი წერილებს ათავსებდა გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „დროება“-ში, რომელშიაც ავტორი თამამათ უთითებდა ძველ თაობას მათს ცუდსა და მავნე მხარეებზე და იმავე დროს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა ახალთაობასაც. ამ დღიდან დაწყებული ის ხშირათ აწვდიდა ქართველ მკითხველს თავის რჩევა-დარიგებას; თითქმის ყველა საჭირ-ბოროტო კითხვებზე ამოუღია მას ხმა. მაშინაც კი, როცა ლექციები უნდა ეკითხა რუსულ და უცხო ენებზე, აი, ამ დროსაც-კი პპოულობდა რამდენსამე წუთებს, რომელსაც ახმარდა სამშობლო მეცნიერულ ლიტერატურის გამდიდრებას. რომელი ქართველი არ იცნობს მის „ღვინო და მისი მოვლას“, „ვაზი და მისი მოშენება“-ს, „რძე“-ს და სხვას... ამ გვარ საფუძვლიან ნაწარმოებთ თამამათ შეუძლიანთ დაამშვენონ ყოველი ერის სპეციალური ლიტერატურა. ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია მისი სხვა მეცნიერულ შრომათა ჩამოთვლა, რადგანაც არც დრო და არც წერილის დანიშნულება ნებას არ გვაძლევს. ვიტყვით მხოლოთ, რომ მათი მეოხებით ნიჭიერმა და პატივცემულმა იუბილიარმა სახელი მოიხვეჭა როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის სპეციალურ მეცნიერებაში. არ შეგვიძლია აქვე არ მოვიხსენიოთ მისი ღვაწლი ადგილობრივ ქართველთა მიმართ. ბ. პეტრიაშვილი სამართლიანათ ითვლება მათ სულიერ მამათ. ოდესსაში ჩამოსულ ყველა ქართველისათვის ღიაა მისი სახლისა და გულის კარები. იუბილიარი ეხმარება რჩევა-დარიგებით და ამასთან ეხმარება ნივთიერათაც. სტუდენტებმა შეიგნეს ყველა ეს და მის სახელობაზე განიძრახეს სტიპენდიის დაარსება ადგილობრივ უნივერსიტეტში. სტიპენდია დაენიშნება აქაურ ნიჭიერ და ღარიბ სტუდენტს.

გულითა და სულით ვუსურვებთ ნიჭიერ პროფესორს მრავალ წელიწადს სიცოცხლეს სამშობლო მეცნიერულ ლიტერატურის გასამდიდრებლათ და ვულოცავთ „დამსახურებულ პროფესორის“ ხარისხის მიღებას.

დღეს, 1 იანვარს, აქაური სტუდენტობა გადაიხდის პატივცემული პროფესორის საიუბილეო დღესასწაულს.

ოდესა. ვ. შავლი.

# რუსეთი მე-XIX-ე საუკუნეში

## I

ხშირათ შეხვდებით რუსულს მწერლობაში იმ აზრს, რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისებურობის, განსაკუთრებითი თვით-მოქმედების ბეჭედი აზის; რომ რუსეთის ისტორიული მსვლელობა თავის საკუთარი გზით მიდიოდა და თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო მსოფლიო ისტორიულ განვითარებასთან. ამ დედა-აზრით აღჭურვილი ბევრი პუბლიცისტები იმ დასკვნამდე მიდიოდენ, რომ რუსეთის ცხოვრებას შეუძლია აწიც ასე დამოუკიდებლათ განაგრძოს თავისი გზა და არ დაემორჩილოს ისტორიულ კანონებს, რომელნიც განაგებენ დასავლეთ ევროპის ცხოვრებას.

მაგრამ რუსეთის მე-XIX საუკუნის ისტორიული ცხოვრების სუბუქი განხილვაც კი გვიჩვენებს, თუ როგორ ცდებოდენ ისინი. მართალია, რუსეთს არ გამოუვლია ის სასტიკი ქარ-ბუქი, რომელმაც შესძრა დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი, მართალია, აქ არ ყოფილა ის დაუსრულებელი შეჯახ-შემოჯახება, რასაც იქ ვხედავთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი კაცობრიობის საზოგადო კალაპოტიდან გამორიცხულ იყოს. პირიქით, საერთოთ რუსეთის ცხოვრების სინამდვილეშიაც იხატება მსოფლიო ისტორიულ ცხოვრების ყველა მომენტები და სხვანაირათ არც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი ჩაითრია საერთო ევროპიულ ომში, როცა ჯერ კიდევ ბრწყინავდა ნაპოლეონ I-ის ვარსკვლავი. ევროპის ხალხი ჯერ კიდევ არ ჩამჯდარიყო თავის ტერიტორიულ ჩარჩოებში და ლამობდენ იარაღით გაეფართოვებინათ თავიანთი საზღვრები. რუსეთიც არ ჩამორჩა თავის უფროსს დებს. სათათრეთთან და სხვა აზიურ ხალხებთან ომებით ესწრაფოდა რუსეთი, რაც შეიძლება, მეტიმიწები მოემწყვდია თავის საზღვრებში და მით მოეპოვებინა მომავალი ძლიერება. ასეთი იყო ევროპის პოლიტიკის საერთო მიმდინარეობა. მეორე მხრით, ევროპის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გავლენა იქონია რუსეთის ცხოვრებაზედაც. წარსული საუკუნის პირველ ნახევარში ნათელი შეიქნა რუსეთის ძველი ურთიერთობის სრული შეუფერებლობა, განსაკუთრებით კი ყირიმის ომმა გამოააშკარავა, რომ შეუძლებელია ბატონყმობასა და მარტო მეურნულ წეს-წყობილობაზე მკვიდრათ დამყარება, და აი რუსეთიც შეინძრა და იწყო ძირეული მტვრევა-მსხვრევა სახელმწიფო შენობისა: ისპობა ბატონ ყმობა, რითაც, რასაკვირველია, თავად-აზნაურობას ეკარგვის წინანდელი მნიშვნელობა; მასთან ერთათ საჭირო შეიქნა მრავალ წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებაც და მით მტკიცე საფუძვლის მიცემა ახალგაზდა, მაგრამ უკვე ჭასაკში მოსულს სავაჭრო-სამრეწველო მოძრაობისათვის. ბატონ-ყმობის გაუქმებას თან მოჰყვა ორგანიზაცია საზოგადო სამხედრო ბეგარისა, ერობათა და უნივერსიტეტებისა; აშკარაა და ყველასათვის თანასწორი ნაფიცთა სამსაჯულო; შემცირება სხეულით დასჯისა; ბეჭდვითი სიტყვის უკეთ მოწყობა; შემოღება საქალაქო თვითმმართველობისა და სხვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება მაწარმოებელი ძალის ასაღორძინებლათ და ქვეყნის ნივთიერათ განსავითარებლად. ამ გარემოებამ დააქვეითა ძველი წყობის წარმომადგენელნი — მიწათ-მფლობელნი და აი მთავრობაც მიეშველა მათ და სხვა და სხვა იურიდიული საშუალებებით დახმარება აღმოუჩინა ეკონომიურათ სუსტს თავად-აზნაურობას. აქედან იწყება მეორე ხანა რეფორმებისა, ერობათა დაწესებულებებში, საქალაქო დაწესებულებებში, საქალაქო თვით-მმართველობაში, სამსაჯულოში, სახალხო განათლების საქმეში — ყველგან ცდილობდენ დაუბრუნებიათ თავად-აზნაურობისათვის დაკარგული ძალა და მნიშვნელობა. ამ ცდამ ცოტათი შეაგვიანა სავაჭრო-სამრეწველო კლასის ზრდა, მაგრამ ვერ მოსპო ის და ეს არც ყოფილა მთავრობის განძრახვა. პირიქით, მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ განევითარებია ქვეყნის მრეწველობა, რადგან მისთვის საჭირო იყო სახელმწიფოში ისეთი კლასი, რომელსაც შეეძლებოდა ეტვირთნა თანდათან მომატებული სახელმწიფო გადასახადები და მოთხოვნილებანი, რომელთაც ცხოვრება წინ აყენებდა.

მე-XIX საუკუნის დასასრული შესამჩნევია რუსეთში მრეწველობის განვითარების ზრდით, რასაც ყოველ მხრივს დახმარებას აძლევდა მთავრობა. რუსეთმა ეკონომიურათ ისე შეტოპა მსოფლიო საქონლის წარმოებაში, რომ საგარეო პოლიტიკაშიაც ევროპის ტაქტიკის გზას დაადგა. მე-XIX საუკუნის დასასუისში და შუა წლებში რუსეთი ჯერ კიდევ საზღვრების გაფართოვებას ადგა. მაგრამ ამ უკანასკნელ ათ წელში დიპლომატია ახალ მიწების შეძენაზე იმდენათ არ ზრუნავს, რამდენადაც მასზე, რომ მოუპოვოს რუსეთს ბაზარი სავაჭრო ხელშეკრულობებით; მაგალ., რუსეთმა პირველმა განაცხადა უარი სათათრეთის გაყოფაზე, რა აზრისაც იყო ინგლისი სომხების უკანასკნელ აჯანყების დროს. ხმა-მაღლა აღიარა აგრეთვე, რომ მას აზრადაც არ აქვს ჩინეთის მიწების შემოერთება. ამავე დროს, რუსეთს გაჰყავს რკინის გზები მანჯურიაში, სპარსეთში და სხ. ხსნის ბანკებს სპარსეთში და ჩინეთში, ერთი სიტყვით, სცდილობს მოიპოვოს ეკონომიური უპირატესობა.

ამ საუკუნის დასასრული რუსეთისათვის შესანიშნავია აგრეთვე მსხვილი მრეწველობის განვითარებით და წარმოების კონცენტრაციით.

ამ ნაირათ, ერთი თვალის გადავლებით ჩვენ დავინახეთ, რომ, თუმცა რუსეთს არ გამოუვლია ის ღრმა ცვლილება, რომელმაც დასავლეთ ევროპაში იმდენი სისხლის ღვრა გამოიწვია, მაგრამ უმთავრესს, ძირეულ კითხვებში გამოვლო იგივე ევოლიუცია, რაც ევროპამ: ბატონ-ყმობა დაეცა, საშინაო წარმოებისა და ნატურალურ მრეწველობის ნაცვლათ გაჩნდა მსხვილი წარმოება და მეურნეებს თანდათან ეკარგებათ უპირატესობის მნიშვნელობა და ადგილს უთმობენ სავაჭრო-სამრეწველო კლასს, რომლის ძალა და მნიშვნელობა თანდათან იზრდება. მაგრამ, რაკი რუსეთი დანარჩენ ქვეყნებთან ერთათ მიდიოდა წინმსვლელობის გზაზე, ცივილიზაციის უკუღმართ მხარესაც ვერ ავცდით, რასაკვირველია, მრეწველობის განვითარებამ თავი მოუყარა ქალაქებში აურებელ მშრომელ ხალხს, რამაც განავითარა სიღატაკე და გამოიწვია პროლეტარიატის შექმნა, ე. ი. მუშათა კლასის, რომელიც მოსწყვეტია მიწას და ძლივს თავს იპურებს დღიურათ თავის ძალ-ღონის გაყიდვით. ლოთობა, სიღატაკე და უმეცრება, ეს ჩვეულებრივი თანამხლებელნი ევროპიელ პროლეტარიატისა, ჩვენაც გვაიძულებენ ჩავუფიქრდეთ და გამოვძებნოთ საშუალებანი ამ სოციალურ უბედურებათა წინააღმდეგ, და აი ასეთი ღონისძიება მთავრობამ კიდევაც მიღო 1897 წ. სამუშაო დღის განწესრიგებით (2 ივნისის კანონი) და უეჭველია, ეს გზა გაგრძელებულ იქმნება მეოცე საუკუნეშიაც...

№

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბილეთი მიიღეთ!“

(სახალწლო სურათი)

Ძველი და ახალი წლების შეცვლის ხანაა. აგერ საცაა ცისკრის ვარსკვლავი ამოანათებს და მაშინ ახალი წელიც თავის ახალ თანამდებობას ჩაიბარებს და ტახტზე დაბრძანდება. ყველაფერი გაყინულია: სახლის სახურავები, ფანჯრები, ქუჩაში დაგუბებული წყლები, ცხენის რკინის გზა. . ქალაქი დადუმებულია, მიძინებულია. ახალი მთვარე ჩასულა და ვარსკვლავებიც ახლა უფრო თავ-აშვებით ცელქობენ. აგერ ცისკარიც ამოლაღლადდა! ვარსკვლავები მიჰქრენ, მიიმალენ, თითქო შეეშინდათო. ცისკარმა ჯერ დინჯათ მიიხედ-მოიხედა, ქალაქი დაათვალიერა და უცებ ერთ სახლს გაუპირდაპირდა. განათდა იქაურობა: აგერ კირით მიგლესილ-მოგლესილი კედლები, დანით დაჯიკნილი კარ-ფანჯარა; შიგ, ოთახში ლამპრის მკრთალი სინათლეა. დიასახლისი ხან ამ კუთხეში მიეშურება და ხან იმ კუთხეში. უკანა კედელთან სათავეებიანი ხის განიერი ტახტი დგას; იქავე ახლოს აკვანიც დგას და ბავშის ნაზი სუნთქვა მოისმის. ფანჯარასთან წმინდათ გადაფარებული პატარა უბრალო სტოლია და ზედ ცოტა-რამ საჭმელეულობაც ალაგია: ერთი ნაჭერი მოხარშული ღორის ხორცი, ერთი პატარა ქათამი, შაქარლამები, ვაშლის ჩირი და სხვ. ფანჯარაზე პატარა საათი დგას და წყნარათ წიკ-წიკებს. საათის ისარი ექვსს უახლოვდება. აგერ გაუსწორდა კიდეც. პატარა ზარამ მოუსვენრათ წკრიალი მორთო.

— უჰ, კიდეც გათენებულა და მე-კი არხეინათ მძინავს...—ჩაილაპარაკა თევდორემ და ზლაზვნით წამოდგა.

— ვითომ რა იქნება, დღეს რომ არ წახვიდე სამსახურში?—კრძალვით ეკითხება ცოლი და ფარდებს ასწორებს.

— ეგ რომ შეიძლებოდეს, ჩემო მარო, დაუფასებელ სიმდიდრეთ ჩავთვლიდი! მარა დღეს, მოსვენების ნაცვლათ, უბრალო დღეზე გაცილებით მეტი ჯაფა გვაქვს. ეჰ, რას იზამს საწყალი კაცი, ჟვარა...—კვნესით ჩაილაპარაკა თევდორემ და მწარეთ ჩაფიქრდა. რა გასაჩენი იყო საწყალი კაცი?!.—ფიქრობს თევდორე და აუჩქარებლათ ტანზე იცვამს—წვალობ, იტანჯები, უქმე არ გახსოვს და საქმი; შრომობ დაუსვენებლივ, მუდამ და მაინც ყურ-გახვრეტილი გროში არ გაბადია! ცოლს რომ ჩუსტებს უყიდი, არ იცი შვილის პერანგი რომელი თანხით იყიდო. დიდი უქმეები ახლოვდება; ქვეყანა ისვენებს, მხიარულობს, ჩვენ კი... ნეტავი რათ მოუგონიათ ეს უქმეები? კვირა თვით ღმერთმა დააარსა; ექვს დღეს იმუშავა ღმერთმა, მთელი ქვეყანა შეჰქმნა და მეშვიდე დღეს-კი დაისვენა... მარა ეს სხვა უქმეები ვინღა დააწესა, არ ვიცი!

— დღეს რომელ საათზე მოხვალ!—გააწყვეტინა ფიქრი ცოლმა.

— ჰა? ჰმ, თორმეტზე...—დაბნევით მიუგო თევდორემ. ამ დროს აკვანში ყმაწვილი შეიშმუშნა და ისევ ჩაიძინა. თედო-კი აკვანს დააცქერდა.

რა კარგია ყმაწვილობა!—ფიქრობს თევდორე—მაგის სადარდელი რა არის; წყნარათ, შეუშფოთებლათ სძინავს; თუ მოშივდა, დედას ძუძუს მოსთხოვს; [illegible]ენის ჭარტალს მოჰყვება, და უდარდელი თამაშით თავს გაირთობს, ეჰ, პატარაობასასმეც ასეუდარდ ელათ ვატარებდი დროს სოფელში დედ-მამასთან...—თითქმის ხმა მაღლა ამოიოხრა თევდორემ და ტკბილ ოცნებაში გაერთო:

კალანდის დილაა... გაჩაღებული ბუხარი სასიამოვნოთ გუზ-გუზებს. ბუხრის თაროზე ჩამოდგმული ლამპარი ოთახის მოწყობილებას მკრთალ სინათლეს ჰფენს თედოს დედა სარკეში თავ-მორთულობას ისწორებს.—მამა ახალუხის ღილებს ისკვნის და თან მძინარე შვილებს აღვიძებს.

ადექით, შვილო, ადექით, ბატონი კალანდა მობრძანდა.—მამობრივი სიყვარულით უღიმის ბედნიერი მამა შვილებს.

— თედო, ადექი, კალანდაი მობრძანებულა,—აღვიძებს უფროსი ძმა უნცროსს.

— კალანდ`ი? სადაა მელე? არ სჯერა თედოს.

— აგერ!—და გაიშვირა ყმაწვილმა ხელი. მარჯვენა ფანჯარასთან სტოლზე საუცხოოთ თავმორთული ჩიჩილაკი წამომჯდარა, ლამაზათ დაკულულებული წვერები მუხლებამდე სცემს. ცოტა აქით გასალოცავათ გაწყობილი გობი დგას. თედოს თვალები უბრწყინდება. ერთი თვალის დახამხამებაზე ის გადმოსრიალდება ლოგინიდან და დედისკენ გარბის. აგერ დედამ ხელები მოხვია. ჰკოცნის... თედოც გატაცებათ ეკვრება გულში საყვარელ დედას. ტკბილა და თბილა... რა კარგია, რა კარგია დედასთან! „გეყოფათ ღლაბუცი, თენდება!“—აჩქარებს მამა. დედამ თედოს პირი დაჰბანა, ახალ ტანისამოსში გამოალამაზა, ლოგინზე ჩამოსვა, დედობრივი სიყვარულით შეჰლიმა შვილს, ერთიც მაგრათ ჩაჰკოცნა და სტოლისკენ გაეშურა. თედო ხან ერთს გადახედავს დაბნევით და ხან მეორეს.—არ იცის, რა ამბავია. აგერ მამამ ჩიჩილაკი დათიკოს გადასცა, თითონ გობი აიღო, სადღაც მიდიან... აგერ კარებიც გააღეს... „ფვი, ფვი, ბაბავ!“ ტირის თედო „დღეს ტირილი არ ვარგა, გენაცვალე! რა გატირებს?“ „იგი... სად მიგაქ?..“ და ჩიჩალაკზე უჩვენებს. „ახლავე მოვალთ, შვილო.“ აიმედებს მამა. დედა ძალიან ფაცა-ფუცშია: კარები ჩაკეტა, სანთლები აანთო; ერთი იედოსაც მისცა. თედო სანთელს თვალს აყოლებს, შეჰხარის. კარებთან დადგენ. დედა იღიმება. აგერ კარებზე დააკაკუნეს კიდეც. „რა მოგაქვს“? ეკითხება დედა. მამა რაღაცას ლაპარაკობს, თედო ყურს უგდებს, მარა ვერაფერი/ ვერ გაუგია. კარები გაიღო. თედომ თვალები აჭყიტა! მამა სანთლებით გაჩირაღდნებული გობით ხელში მოდის და იღიმება. მას მოსდევს ჩიჩალაკით ხელში დათიკო. თედო აღტაცებაშია, უნდა გადახტეს და დათიკოს ჩიჩალაკი ხელიდან გამოჰგლიჯოს, მარა ამ საიდუმლო პროცესიამ მისი გრძნობა-გონება მოაჯადოვა, ალაგიდან ვერ იძვრის. „ღმერთმა ყველას მხიარულათ და ბედნიერათ გაგითენოს მრავალი ახალი წელიწადი!“—მიულოცა მამამ ყველას და წალმა ჩამოუარა. დედამ გობზე ყველაფერს ხელი შეახო. მამა თედოს მიუახლოვდა და გობი დაბლა დასწია; თედომაც ყველაფერს ხელი შეახო; ძალიან მოეწონა ფორთოხლები და ფოჩებიანი შაქარლამები, მარა დედას არ აუღია და ისიც მის მაგალითს მისდევს. აგერ დათიკომ ჩიჩალაკი წაუჩვენა. თედოს ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალი წელი!

ლიან უნდოდა ჩიჩილაკი ხელში ჩაებღუჭა და „ჩემიაო“ დაეყვირა, მარა.. დედას ხომ ასე არ უქნია! იმანაც მხოლოთ ხელი შეახო და მშვიდობიანათ გაუშვა. მამა დიდხანს დადიოდა გობით ხელში და რაღაცას ლაპარაკობდა, მარა თედოს სულ ტკბილეულობა ებლანდებოდა და ამათთვის ყური არ უგდია. ლიტანია გათავდა. მამამ ყველას სათითაოთ ახალი წელი მიულოცა და კოცნასთან ერთათ ტკბილეულობით პირი ჩაუგემრიელა. ჯერი თედოზედ მიდგა. მამამ მასაც მიულოცა ახალი წელი, პირში შაქარი ჩაუდო და ტკბილათ, ხანგრძლივათ ჩაჰკოცნა. შაქარი ხომ ტკბილი იყო, მარა კოცნაც ძალიან ესიამოვნა. ამ დროს დედაც მიუახლოვდა: „მომილოცავს, ჩემო კოხტა ბიჭო, ღმერთმა მრავალი...“—სიტყვების დასრულებასაც ვერ ითმენს და გაცხარებით ჰკოცნის, ჰკოცნის.. თედოც დედას სიყვარულით ეხვევა და ტუჩებს აცმაცუნებს.

აქ კი თევდორეს ოცნება ჰქრება.

— თევდორე, სამსახურში არ დაგვიანდე,—აღვიძებს ცოლი; უკვე შვიდი საათი შესრულებულა; ვაგონები გასული იქნება.

— ვეღარ გამაღვიძე!—უსაყვედურა თევდორემ ცოლს.

— შენ არ გძინებია! ფიქრებში იყავი გართული; ტკბილათ იღიმებოდი და აღარც მე შეგაწუხე. რაზე ფიქრობდი, თედო?—შეემუდარა ცოლი.

— ახლა დრო არ არის!—თევდორე იჩქარის, მოეწყო კიდეც. უკანასკნელათ ყაბალახი შამოიხვია, ,,თორმეტ საათზე მოვალო''—სახლში დაიბარა და სამსახურში გაეშურა. მირბის, მიიჩქარის თევდორე, არაქათი გამოელია. საცაა დაეცემა... აგერ კანტორაც..

—

თევდორე მივიდა კანტორასთან და მოკრძალებით მყუდროთ ალაგას გაჩერდა, მარა უფროსმა მაინც მოჰკრა თვალი.

— ამდენხანს სად გდებულხარ, შე სალახანავ შენა? — გაეხმაურა თევდორეს უფროსი.

— ეტლი დამეჯახა, ბატონო; ლაფში ამოვისვარე და ტანისამოსის წმენდამ დამაგვიანა.

— კაი დღეებზე ასე უნდა განა?!.—ცოტა მწყრალად უთხრა უფროსმა. თევდორემ ყველაფერი მოამზადა; ვაგონი გამოაყვანია და გზას გაუდგენ. ვაგონი შეუმჩნევლათ მისრიალებს გაყინულ ლიანდაგზე, მხოლოთ აქა-იქ ცოტას შეხტება და ისევ შეუმჩნევლათ მიდის.

დილის სიცივის შიშით ხალხი ჯერ არ გამოსულა და ვაგონიც ცარიელი მიდის. აი, შემოჯდა ვაგონზე ერთი მგზავრი და ღრმა ფიქრში გართული თევდორეც გამოერკვა. ,,ბილეთი მიიღეთ!'' გაისმა უკმეხი ხმა—საით მიბრძანდებით? ხურდა მიიღეთ''! ცოტ-ცოტაობით ვაგონი ხალხით გაივსო. თედო გაცხარებული მუშაობს, გაათავა ბილეთების დარიგება; ხალხი დასთვალა, გამოიანგარიშა და დარწმუნდა, რომ სწორეთ დაურიგებია ბილეთები. ვაგონი გაჩერდა. ხალხი თავ-თავისთვის მიეშურება: ყველას სიამოვნების ღიმილი უკრთის სახეზე. თევდორემ სკამები გადააბრუნა; ქუჩერმა ცხენები მოაბრუნა და ისევ გზას შეუდგენ. თევდორემ თითქმის ზეპირათ იცის რომელ სახლს რა ფერის კარები აქვს, ან ფანჯრებზე როგორი ფარდებია ჩამოფარებული, სად ახალი სახლია, სად ძველი. ამ ქუჩაზე თვითოეული ხე, თვითოეული სახლი და მისი კარ-მიდამო თავისი ხუთი თითივით გაზეპირებული აქვს; მობეზრდა კიდეც მათი ცქერა-ყურება, მარა მაინც ძალა-უნებურათ უნდა უცქიროს და ათვალიეროს... მიდის და აქეთ-იქით იყურება—ეგება რამე ახალი დავინახოო, მარა ამაოთ—სულ ისევ ის, სულ ისევ ის!.. დაიღალა თევდორე, იჩქარის მალე შესრულდეს თორმეტი საათი.. სახლში წავა, ცოლ-შვილს გაახარებს... აი თორმეტი საათიც შესრულდა, მაგრამ შემცვლელი ჯერ არ მოდის. ,,ვითომ დღეს არ შემცვლიან?'' შესჩივის თევდორე უფროსს. ,,მოესწრები, მოესწრები! დიდი რამაა თუ ცოტა დაგიგვიანდა. შენზე უარესი არ გახლავარ, მარა დღეს აქ უსადილოთ უნდა გამოვშეშდე!.. სამ საათზე შეგცვლიან. უგემურათ უთხრა უფროსმა და მოშორდა. ,,ესეც ასე! ახალი ამბავია ჩემს თავს“... ჩაილაპარაკა თევდორემ და ისევ გზას გაუდგა. მიდის საწყალი და გაფაციცებით ქუჩას ათვალიერებს, მარა რას ეძებს—არ იცის—ისე უაზროთ აცეცებს თვალებს, ეგება რამე ახალს წავაწყდეო. ისევ ის ნიგვზის ფრათ შეღებილ კარებიანი სახლები... ისევ ის ტალახიანი ქუჩა, გამოურკვეველი ხმაურობა, ეტლების გრიალი და არეულობა.. მარა აგერ ერთი შეღვინიანებული კაცი შუა ქუჩაში გაბიჯგულა და არხეინათ ,,მრავალ-ჟამიერს'' გალობს. თევდორეს თვალები გაუბრწყინდა, თითქო ნახა, რასაც ეძებდაო... ,,ეი, ეი!'' უყვირის მეეტლე მთვრალს, მარა ის ყურებსაც არ იბერტყავს—არხეინათ გალობს და თანაც ბარბაცებს.. აგერ მეორე მთვრალი გაგორებულა ქუჩის განაპირას და გულიანათ ხვრინავს. ,,ბედნიერი''—უეცრათ, დაუფიქრებლათ ამოიოხრა თევდორემ და საჩქაროთ ტუჩები მოკუმა: შერცხვა ჯერ იმისი, რომ თავის თავს ხმა-მაღლა ელაპარაკებოდა და მეორეც იმისა, რომ ისეთი პირუტყვული მდგომარეობა ინატრა, როგორშიაც ის ორი მთვრალი კაცი იყო.

სამი საათი სრულდება. ახლა კი უეჭველათ უნდა შესცვალონ თევდორე. ამიტომაცაა, რომ ასე გაცხარებული მუშაობს! ხალხი ემატება და ემატება. თევდორეც მარდათ ხტის და ბილეთებს აწოდებს ყველას, გაათავა. ,,კანტროლმაც'' ჩამოიარა. თევდორე ისევ სვეტს მიეყრდნო და ამ აბეზარ ქუჩას გასცქერის—სულ-კი იმას ფიქრობს, როდის გაათავებს თავის ჯერს. მთელი ქუჩა მთვრალებს დაუჭერიათ და ერთი გამოურკვეველი, გულის შემზარავი აურ-ზაურია ატეხილი. აგერ მთვრალები გადახვევიან ერთმანეთს და უთავბოლოთ ღრიალებენ, აგერ ორი კაცი ერთმანეთს გადახვევია და ისე ჩასძინებიათ. ერთიც იქვე, განკერძოებით პირ-აღმა მიგდებულა, ხახა დაუღია, ხელები განზე გადაუყრია, ცალი ფეხი მოუღუნავს, ცალიც გაუჭიმავს და ასე მოსვენებით სძინავს. ,,ბედნიერები!'' ისევ უნებურათ წამოსცდა თევდორეს და საჩქაროთ ენა კბილებში გააჩერა. ,,არა, რა არის ამათში სანატრელი!?. უჯავრდება თავის თავს თევდორე—ქუჩაში ძილი? უხეიროთ ბღლაძუნი? უნამუსო სიტყვები?! მაშ რა არის სანატრელი?!

-- გადმოდი, კაცო ჩქარა! წადი და არ დაიგვიანო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი! ემუქრება შემცვლელი. თევდორე აღტაცებაშია. წინა ვაგონს დაეწია და სახლისკენ მიჰქრის.

—

მომილოცავს ახალი წელი, მარო, მრავალს დაესწარი მხიარულათ, ბედნიერათ.. შენც ღმერთმა მრავალ ახალ-წელს დაგასწროს, ჩემო ბიჭიკო, მარა.. ჩემ გაძაღლებულ ცხოვრებას აგაშოროს... ქაქანით მიულოცა თევდორემ ცოლ-შვილს და გახურებულ ფეჩთან სკამზე ჩამოჯდა.

— მამა მოვიდა, გენაცვალე, მამა!—ჩატიკტიკებს დედა შვილს.

— მამა, მამა...—უაზროთ ტიტინებს ბავშვი, მარა მამისკენ კი არ იწევა; დღეში ერთი ან ორი საათი თუ მოვა თევდორე სახლში, ისიც სადილის ჭამას და ცოლთან საოჯახო საქმეზე ლაპარაკს უნდება და შვილთან ალერსისა დრო აღარ რჩება; შვილიც მარტო დედასთან არის შეჩვეული და მამას კიდეც გაურბის.

— მამა, გენაცვალე, მამა—აჩვენებს დედა თევდორეზე.

— მამა, მამა..—ტიტინებს ბავშვი და ცოტათი სახე უნათდება, თითქო ამდენხან არ იცოდა და ახლა კი კარგათ გაიგო, რა არის ან ვინ არის „მამა“.

— მოდი ჩემთან, ჩემო იმედო...—ემუდარება მამა და ბავშვისკენ ხელს იწვდის. ბავშვიც თანხმდება. თევდორემ ბავშვი მუხლებზე დაისვა და ერთიანათ სიყვარულის გამომეტყველი თვალები დააშტერა. ბავშვი ხტის, თამაშობს, პატარა ფუნჩულა ხელებით მამას წვერს უწეწავს, რაღაცას ტიტინებს, ტუჩებს იწვდის; თედოც გატაცებით ეკონება შვილის ტუჩებს.. დასტკბა, დაამდა თევდორე, ამის ფასი ბედნიერება ჯერ არ უგრძვნია. სული შეეხუთა... ჰკოცნის, ჰკოცნის და ტუჩები ვერ მოუშორებია.

— სადილი ვჭამოთ—გაეხმაურა თევდორეს ცოლი, რომელიც იქავ ახლო იდგა და ღიმილით შესცქეროდა მამა-შვილის გატაცებულ სიყვარულს. აგერ ექვსის ნახევარიც შესრულდა! „აქ რომ საათები ასე მალე გარბიან, მუშაობის დროს ერთი საათი მთელ საუკუნეთ რათ მეჩვენება“? გაიფიქრა თევდორემ და წასასვლელათ გაემზადა.

— ფვი, მამა, მამა!..—ტირის ბავშვი, მარა თევდორე უკვე წასულია და აღარც სცალია—ცოლ-შვილთან მოსაცდელათ: ახლა ის თავის-თავს აღარ ეკუთვნის... თევდორე წინანდებურათ დგება ვაგონზე და მუშაობს.... თევდორეს ყველა ქვისაგან გამოქანდაკებულ „კონდუკტორათ“ იცნობს, რომელიც წამ-და-უწუმ მოურიდებლათ ჰყვირის: „ამ კაცს ალაგი დაუთმეთ! ბილეთი მიიღეთ!“ თევდორემაც კარგათ იცის, რომ ამაზე ხალხი ასეთი შეხედულობისაა, მარა რა ქნას? მას ხომ არ შეუძლია ხალხის აზრი თავის გემოვნებაზე ატაროს?! ეს მას არ შეუძლია და აღარც ყურს უგდებს, თავისთვის მუშაობს. „ბილეთი მიიღეთ!“ საით მიბრძანდებით? ხურდა მიიღეთ! „ამ კაცს ალაგი დაუთმეთ!“—უგულოთ გაიძახის თევდორე და ვაგონიც მისრიალებს.

მ. ივანიძე.

## ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის სურათი.

რამდენჯერ შემთხვევით უცხოში პირისაგან გამიგონია, რომ საქართველოს ერს მომავალი არა აქვს, იგი ეკონომიურათ დაცემის გზაზედ დგას და დღენი მისნი დათვლილნი არიანო. ამ სასტიკი განსჯის საბუთს აძლევს მობაასეს ის გარემოება, რომელსაც ამ ჟამად გარს მოუცავს ჩვენი ხალხი. აღებ-მიცემობა სხვის ხელშია, მამული გაეყიდათ და სხვები დაეპატრონენ, ერთი სიტყვით აღარც უძრავი და აღარც მოძრავი აღარ შერჩა. მამა-პაპეული შესწავმა და თვის მონაგარით ვერა შეიძინა-რა. ჩვენს დროში გამეფებულია ფული და მხნეობა, ეს ორივე ძალა-კი აკლია ქართველს ერსა და რის მოლოდინი უნდა ჰქონდეს? პასუხად გვეუბნებიან—განადგურებისა, მხოლოდ განადგურებისა! აი ასეთი აზრი გვსმენია ბევრჯელ აქ, რუსეთში. რამდენათ მართალია იგი და სარწმუნოდ მისაღები, ამას ვეკითხები საქართველოში მცხოვრებლებს, რომელნიც უფრო დაახლოვებით იცნობენ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ჩვენ თითონ შეგვიძლიან მხოლოდ ვსთქვათ, რომ ზემოხსენებულს აზრს, თუნდ იგი გაზვიადებულიც იყოს, სინამდვილეც არა აკლია. მართლაც, კარგად ვხედავთ, რომ ჩვენი უძრავი მამულის პატრონები ამ ბოლო დროს გახდნენ უცხო ტომის ჩამომავალნი, მეტადრე ეს ითქმის ტფილისის გუბერნიაზედ. ქუთაისისკენ, იმერეთში, ქართველი ერი უფრო მჭიდროდ სცხოვრობს, მამულს მტკიცედ ადგია და ხშირად თუ თავად-აზნაურობა ჰყიდის უძრავს, მას იძენს გლეხი. ერთის სიტყვით, მამულის დაკარგვა ქართველი ერისაგან თვალსაჩინო მოვლენაა, ამაში ეჭვი არავის აქვს, და ეს სამწუხარო გარემოება დღითიდღე არამც თუ არ სუსტობს, არამედ მტკიცდება და ძლიერდება. მოიგონეთ ჩვენი დიდი მებატონეების მამულის გაყიდვა ქართლ-კახეთში და სხ.

ერთის სიტყვით, ეკონომიურად ჩვენი დაქვეითება ეჭვს გარეშეა. მაგრამ სამწუხარო ეს-კი არ არის მხოლოდ, რომ შემძლებელი დასი დაეცა, მისი ქონება ქარმა წაიღო და სხვა, ეს ისტორიული კანონია. მესამე-მეოთხე თაობამდის იშვიათად მიაღწევს ხოლმე შეძენილი ქონება თვით დასავლეთ ევროპაში; არა, სავალალო, არის ის უფრო, რის აცდენაც შეგვეძლო და ხელი-კი ვერ შევუწყეთ. ირღვევოდა ძველებური წესწყობილება, საჭირო იყო ახალს კალაპოტში ჩადგომა და და მიმდინარე ცხოვრების ალღოს შეგნება. როცა ჩვენმა ერმა თვალები მოიფშვნიტა და შეჩვეული, მამა-პაპური ნიადაგი გამოეცალა, მაშინ ცოტა დაგვიანებული იყო ბრძოლის გაწევა გამეფებულს დასთან, შემოსულს ტომთან. თვითმცნობელობა მაშინ დაგვეტყო, როცა ბრძოლის ასპარეზი გამწვავებული შეიქმნა. გამოუცდელმა და ცოდნით ნაკლებათ შეიარაღებულმა ქართველმა ერმა დაუთმო პირველობა თავისს ქვეყანაში უცხოელებს, თითონ ან გულზედ ხელი დაიკრიფა—რაც იქნება-იქმნებაო, ან წვრიმალ საქმეს მიჰმართა, რაიცა გამარჯვებას და დიდს, ბრწყინვალე მომავალს არ უქადის. შავი-ქვის წარმოება, აბრეშუმის გაშენება, სიმინდით ვაჭრობა,—ესეც მხოლოთ დასავლეთს საქართველოში,—შერჩა ჩვენს ერს და ნაყოფი ამ საქმისა ჯერ მაინც და მაინც აღფრთოვანებულს იმედებს არ იძლევა. შორიდან მაყურებლისათვის ჩვენი მდგომარეობა დასაფიქრებელს და განსაცდელს ფარგალშია მოყოლებული. ვისაც შეძლება აქვს, უნდა ებრძოლოს ამ მაძიებულს ხანას ეკონომიური დაცემისას და უჩვენოს გზა ხსნისა და კვალად აყვავებისა. ჩვენ არ ვისპობთ იმედს და მხოლოდ ვნატრობთ, თავში გავითქვიფოთ ის აზრი, რომ საჭიროა სიფხიზლე, მხნეობა და მდგომარეობის შეგნება.

ი. ხახანაშვილი

## 1900 წლის სიტყვა-კაზმული მწერლობა.

ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა დიდიხანია არ ყოფილა ისე სუსტი და უნაყოფო, როგორც წარსულ წელს. ბ-ნი ს. მგალობლიშვილის „წარსულიდან“ მთელი ორი წელიწადი იბეჭდებოდა „მოამბე“-ში; ამიტომ ის უფრო 1899 წელს ეკუთვნის, ვიდე წარსულს; „ნავარდობა“-ს იმდენ სახელოვნო ნაკლულევანებანი აქვს, რომ მას ის გაცვეთილი აზრიც-კი ვეღარაფერს შველის, რომელიც ავტორს მისთვის სარჩულათ დაუდვია. დარჩა თითქმის ერთათ ერთი „ქამუშაძის გაჭირვება“. ამიტომ თუ წარსული წლის სატყვა-კაზმული მწერლობიდან მხოლოთ ისეთი ნაწარმოები აღვნიშნე, რომელიც ნამდვილ სახელოვან ქმნილებას წარმოადგენს, თითქმის იგივე უნდა გავიმეორო, რაც უკვე მითქვამს მთელი წლის განმავლობაში ამა თუ იმ ნაწარბოების შესახებ; ეს კი არც ჩემთვის და არც მკითხველისათვის საყურადღებო არ ირის. ნაწარმოებთა ღირსების განურჩევლათ, ვეცდები, ერთათ მოვუყარო თავი ყველა იმ კითხვებსა და აზრებს, რომელიც წამოაყენა წარსულ წელს ჩვენმა სიტყვა-კაზმულმა ლიტერატურამ, და ამით მკითხველს დავანახვო, რას გვეუბნებოდა მთელი წლის განმავლობაში ჩვენი პოეზია, ჩვენი ცხოვრების ან ჩვენი სულიერი მდგომარეობის რა მხარეს უფრო აქცევდა ის ყურადღებას.

სიტყვა-კაზმული მწერლობით წარსულ წელს ყველაზე უფრო ნაყოფიერი „მოამბე“ იყო. იქ დამთავრდა ს. მგალობლიშვილის ვრცელი მოთხრობის ბეჭდვა. მოთხრობა ძალიან საყურადღებოა, რადგანაც შეეხება უმთავრესად ისეთი დროის სწავლა-განათლების მდგომარეობას, რომლის შესახებაც ჩვენს მწერლობაში ძალიან ცოტა რამ თქმულა. ეს ნაწილი მოთხრობისა ცოცხლათ და ხელოვნურათ არის დაწერილი; ავტორის აღწერას ჩართული აქვს იუმორი, მაგრამ თავიდან ბოლომდე ეს იუმორი იმდენათ უმანკოა, რომ გულდაგულ სიცილის მეტს ვერაფერს გამოიწვევს მკითხველში. მოთხრობის ნაწილებს შორის მეტათ სუსტი კავშირია. პირველ ნაწილს დანარჩენებთან მხოლოთ ის კავშირი აქვს, რომ შაქრო გეგელაშვილი ედიშერის შვილის შვილია, მაგრამ რადგანაც შაქროს მთელ მოთხრობაში სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ავტორმა მისი ვინაობა მხოლოთ იმიტომ გაგვაცნო, რომ ორმოც-დაათიანი წლების სწავლა-განათლების შესახებ დაეწყო ლაპარაკი, ამიტომ პირველი ნაწილი მოთხრობაში სრულებით მეტათ მიგვაჩნია. მაშ, რისთვის დასჭირდა ავტორს მთელი ამ ნაწილის მიწეპება? ნუ თუ მას არავითარი მიზანი არა ჰქონდა? არა, ავტორს თავისი მიზანი კარგათ ჰქონდა გამორკვეული, როდესაც პირველ ნაწილს უკავშირებდა მთელ მოთხრობას. ბ-ნი ს. მგალობლიშვილი დიდი ხანია გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ერთხელვე არჩეული გზიდან მას აღარ გადუხვევია. როგორც პირველი მისი მოთხრობები, ისე ეს უკანასკნელიც გაჟღენთილია ავტორის ღრმა სიყვარულით გლეხისადმი; ის დიდი თანაგრძნობით ხატავდა და ხატავს ამ გლეხს, იდეალურის პრიზმით სინჯავს როგორც მის ბუნებას, ისე მის ცხოვრებას. გლეხის სიყვარულმა ავტორს შეაყვარა ის დრო და მაშინდელი წყობილება, როდესაც გლეხს მკაფიო ფიზიონომია ჰქონდა, და შეაძულა ის დრო და ის წყობილება, რომელმაც ბატონ-ყმობის გლეხი გადაახალისა და შესცვალა. ამიტომ ს. მგალობლიშვილი ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ტეტიათა მოტრფიალე ბელეტრისტებისა. ტეტიათა მოტრფიალენი მარტო გლეხს კი არ ხატვენ იდეალურათ, იდეალურათვე ხატვენ ბატონ-ყმობასაც. რადგანაც ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ კარგა დრომ გაიარა, ამ დროს განმავლობაში ცხოვრება შეიცვალა და შეიცვალა მასთან ერთათ ის გლეხიც, რომელიც ამ ჯგუფის მწერლების ტრფიალს წარმოადგენდა. ასეთ გარემოებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ტეტიათა მოტრფიალეებს გული გაუტყდათ აწმყოზე, რომელმაც ფერი აცვლევინა გლეხს და მის ცხოვრებას, და მით უფრო მეტის სიყვარულით იგონებენ ახლა წარსულს. ერთს ასეთ მაგალითს ბ-ნი ს. მგალობლიშვილი წარმოადგენს. თუმცა „წარსულიდან“-ის პირველ ნაწილს დანარჩენ ნაწილებთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ თუ დასწერა ის ავტორმა, უნდოდა დაემტკიცებია, რომ ბატონ-ყმობა მამაშვილური დაწესებულება იყო და მაშინდელი ცხოვრებაც უმჯობესი, ვიდრე დღევანდელი. აი რას სწერს ავტორი პირველი ნაწილის დასაწყისში: „მეხი იყო მხოლოთ ახალი აზნაურობა, ესე იგი პირველი თაობა ძველის თავად-აზნაურობისა. თითო-ოროლა ძველთაგან დარჩენილის თავად-აზნაურობისა-კი, თუმცა გულით ზვიადი და ამაყი, საყვარელი იყო გლეხობისა და გლეხობა—მისი; ეს აზნაურობა იყო მფარველი თავისის გლეხისა, თავი მოსწონდა, როცა იგი ნახავდა შემთხვევას, გამოსარჩლებოდა თავის ყმას და, თუ კი დრო და გარემოება მოითხოვდა, თავიც შეეწირა მისთვის“.

მთელი პირველი ნაწილი ამ იდეალის დამტკიცებაა. ავტორმა დაგვიხატა ძველი აზნაური, ედიშერ გეგელაშვილი, მისი დამოკიდებულება გლეხებთან, მისი თავ-გამოდება გლეხობისათვის და სხ. თუ კი ადამიანს სჩვევია ცალ-მხრივათ რაიმე კითხვის აწონვა და გადაჭრა, ქართველმა ადამიანმა ასეთ ცალ მხრივობაში, მგონი, ყველას გადააჭარბა. ეჭვს გარეშეა, ბატონ-ყმობის დროს იყვენ ისეთი პირები, როგორც ედიშერ გეგელაშვილი, მაგრამ ამ გამონაკლის გაზოგადება და იმის ქადაგება: ბატონ-ყმობა მამა-შვილური ინსტიტუტი იყოვო—ერთი დიდი შეცდომაა. კერძო ფაქტი რომ რასმე გვეუბნებოდეს იმის მეტს, რომ გამონაკლი ყოველ სფეროში არის, ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების შესწავლა ყოვლათ შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა ამ წარსულს ავტორი ძალიან ამაღლებს აწმყოსთან შედარებით, მაგრამ წარსულის ღირსების შესახებ ძალიან ცოტას გვეუბნება; მხოლოთ მწუხარებით გვიცხადებს: „ილუპება ყვალაფერი, რასაც კი ძველი ელფერი ედო: სიმღერა, გალობა, შექცევა, თამაშობანი, სხვა-და-სხვა გვარი ძველი ლხინი, ლექსით და ზმით კამათი“-ო, მაგრამ ყოველივე ამის დალუპვაში საგოდებელს ვერაფერს ვხედავთ. მოთხრობაში საყურადღებო პირს წარმოადგენს გიგოლა გულიაშვილი და საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, თუ როგორ ებრძვის მას ხალხი და როგორ ამარცხებს. გიგოლა გულიაშვილი ნათლათ გვიმტკიცებს, რომ დღევანდელი ჩვენი ცხოვ-

რება კანონიერი შვილია ჩვენის წარსულისა, თუმცა ამ წარსულს დღეს ის ძალიან ცოტაში-ღა ჰგავს. ერთფეროვან „მასსას“ გლეხობა არ წარმოადგენდა ბატონყმობის დროსაც-კი, მაგრამ მაშინდელი დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის, აგრეთვე ყმებს შორისაც, ამ დიფერენციაციის გაფურჩქვნას და ნათლათ გამოაშკარავებას წინ ეღობება. როდესაც ეს ხელ-შემშლელი მიზეზი მოისპო, ჩვენი ცხოვრება ნელ-ნელა გადასხვაფერდა ისე, როგორც უნდა გადასხვაფერებულიყო. სადაც მიგვიყვანს ასეთი ცხოვრება, მომავალი დაანახვებს, ვინც მოესწრება, ხოლო უკან რომ ველარ დავბრუნდებით, ეს ყველასათვის ცხადია.

წარსულ წელს „მოამბე“-ში დამთავრდა მელანიას „ნავარდობა“, რომლის შესახეს უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი მწერლობაში.

ყველაზე უფრო საყურადღებო როგორც „მოამბე“-ში, ისე წარსული წლის მთელ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ბ-ნი კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ იყო. ამ მოთხრობის შესახებ „კვალ“-ში ვრცელი წერილი იყო და ამიტომ მას აღარ დავუბრუნდებით. ავტორი მეტათ დაკვირვებით ადევნებს თვალ-ყურს ჩვენს ცხოვრებას და თავის დროზე აღნიშნავს ხოლმე ყოველ ახალ და საყურადღებო მოვლენას. ამ მოთხრობაში ავტორმა თვალ-წინ წამოგვიყენა საუცხოვოთ დახატული რამოდენიმე სურათი ჩვენის ცხოვრებიდან, რომელთა დასკვნაც თავის თავათ ცხადია ყოველი მკითხველისათვის. რა არის ეს დასკვნა?—სოფლის აზნაურობის გადატაკება, წოდებათა ერთმანერთში არევა და მათი სამოქალაქო გზაზე გამოსვლის აუცილებლობა. ახალი მოვლენა, რომელზედაც ავტორმა მოგვითითა, არის წმინდა პროლეტარის გაჩენა ჩვენს ცხოვრებაში: ოტია სრულებით მოსწყდა მიწას; მან გაჰყიდა ყოველისფერი სოფლათ და ქალაქს მიჰმართა, რომ იქ ეძიოს თავისი ბედი.

წარსულ წელს „მოამბე“-ში დაიბეჭდა ბ-ნი შ. არაგვისპირელის რამოდენიმე ეტიუდი და ერთი ვრცელი მოთხრობა. პირველში „უცნაურია, უცნაური!“ მან დაგვიხატა სნეული ადამიანი, ამნონი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა თამარი, და როდესაც სქესობრივი გრძნობა დაიკმაყოფილა, თამარი მის თვალში სათელავ მჩვარათ გადიქცა და სიყვარულიც სრულებით გაუქარწყლდა. ავტორს რომ ამნონი სნეულ ადამიანათ მიაჩნდეს, ჩვენ არაფერს ვიტყოდით, მაგრამ ავტორს თავისი გმირი საღი ადამიანი ჰგონია და ამიტომ ეტიუდის დედააზრიც სრულებით შემცდარია. ავტორს რომ მარტო თავის საკუთარი წარმოდგენისათვის არ დაეჯერებია და სინამდვილისათვის მეტი ყურადღება მიექცია, დარწმუნდებოდა, რომ მარტო სქესობრივი გრძნობის დაკმაყოფილება არა თუ არავის არ უქარწყლებს სიყვარულს, კიდეც უძლიერებს. მეორე ეტიუდი „ბედნიერება მხოლოთ მაშინ ვიგრძენ!“ თავიდან ბოლომდე გაუგებარია. ახალგაზრდა ერასტიმ მეუღლე შეირთო, ბედნიერების მაგიერ უბედურებას შეეყარა და თავის თავი მხოლოთ მაშინ იგრძნო ბედნიერათ, როცა ცოლმა თავი დაანება. რასაკვირველია, ისეთი მეუღლის მოშორება, რომელთანაც ცხოვრება დაუსრულებელ ტანჯვად გადაქცევია მეორეს, ბედნიერებაა და ამ აზრში არც არავინ შეეცილება ავტორს, ხოლო გაუგებარია ეტიუდში, რათ შეიძულა ელისაბედმა ერასტი ჯვარის დაწერის პირველ დღიდანვე? ერასტი გვატყობინებს, რომ მისი მეუღლე სხვებს არ ჰგავდა, მაგრამ მისი ხასიათის შესახებ ამის მეტს არას ამბობს. ყოველი სტრიქონის კითხვის დროს თვალწინ გეხატებათ მხოლოთ ავტორის სურვილი; რათ შეიძულეს ცოლ-ქმარმა ერთმანერთი? მხოლოთ ერთი პასუხია: იმიტომ, რომ ავტორს ასე სურს. რატომ ვერ გრძნობდა ცოლი ქმართან ბედნიერებას? იმიტომ რომ ავტორს ასე სურს. თუ კი ცოლი და ქმარი ერთათ ვერ თავსდებიან, ამის მიზეზი მათსავე ხასიათში უნდა იმალებოდეს, ან მათს გარეშე; ავტორმა კი არც ერთი დაგვანახვა, არ მეორე. ერასტის სიტყვები: ყველა ქმრებმა რომ ჩემსავით გულ-ახდილათ გიამბონ, იქნება ათასში ხუთიც არ იყოს კმაყოფილი თავისი მეუღლისაო, გვარწმუნებენ, რომ ავტორი სკეპტიკურათ უეურებს ცოლ-ქმრულ კავშირს და ცოლ-ქმრობა თითქმის უბედურებათ მიაჩნია. ამ ეტიუდში, სხვათა შორის, ის აზრიც არის გატარებული, რომ გასათხოვარი ქალის ხასიათის გაგება შეუძლებელია. ზოგიერთ თავის წინანდელ ეტიუდშიაც ავტორი ქალის ზნეობრივ მხარეს სკეპტიკურათ უყურებს; ზოგიერთი მისი ეტიუდების ქალი იმდენათ უზნეოა და დაცემული ბუნებისა, როგორისაც მის ნაწერებში ვერც ერთ მამა-კაცს ვერა ვხედავთ. თუ ჩადის მის ეტიუდებში მამა-კაცი რაიმე სისაძაგლეს, წინდაწინვე დიდი-ხნით განზრახული მიზნით კი არა, არამედ ავათმყოფი ბუნების წყალობით, ან განუზრახავათ, ერთბაშათ. ქალები წინდაწინვე დიდიხნით განზრახული მიზნით ეპირებიან რაიმე უზნეო მოქმედებას. გაიხსენეთ მისი ერთი გასათხოვარი ქალი, რომელიც ერთ ყმაწვილს მეუღლობის თანხმობას უცხადებს, ესიყვარულება კიდეც და ამავე დროს მეორეს წერილსა სწერს: რაღაი გავთხოვდები, ჩემო საყვარელო, შენი ვიქნებიო. რამდენათ უზნეო, გარყვნილი ხასიათის უნდა იყოს გასათხოვარი ქალი, რომ ეს მოიმოქმედოს! ჩვენს ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ამ გვარი ქალი ჯერ არ წარმოუშობია და ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ წარმოშობოს; მაგრამ ავტორის ერთ ღირსებას ის შეადგენს, რომ ჩვენს ბელეტრისტებში მან პირველმა გადააბიჯა გაბედვით ჩვენი ცხოვრების საზღვრებს და გვაძლევს ისეთ ფსიხოლოგიურ მომენტებს, რომლებიც საერთოა ყოველი ადამიანისათვის, რა ცხოვრებისაც უნდა იყოს ის. ხოლო ასეთი მაგალითები ამტკიცებენ, რომ ავტორს ქალის ზნეობაზე შემცდარი შეხედულება აქვს. მის თვალში მამა-კაცი ზნეობრივათ მაღლა დგას ქალზე. ავტორის ასეთსავე შეხედულებას უნდა მივაწეროთ ზემოხსენებულ ეტიუდში გამოთქმული აზრი, ვითომ გასათხოვარი ქალის ხასიათის გამოცნობა შეუძლებელი იყოს. თავის ნაკლულევანებათა დაფარვა და ღირსებათა გამოფენა, თავისი თავის იმაზე უკეთესათ ჩვენება, ვიდრე ნამდვილათა ვართ, საზოგადოთ სჩვევია როგორც მამა-კაცს, ისე ქალსაც. ეჭვს გარეშეა, ქალი ამ მხრივ მამა-კაცს აჭარბებს, რადგანაც მისი უმთავრესი ასპარეზი ცხოვრებაში დღეს დღეობით ისევ ოჯახია ჯერ და ამიტომ უმთავრესი მიზანიც—გათხოვება, რაც მოწონებაზედ არის დამოკიდებული; ის თვით ცხოვრე-

ბისაგან იძულებულია უფრო ეცადოს, მოგვაწონოს თავი, ვიდრე მამა-კაცი ცდილობს, ხოლო ამ მეცადინეობაში მას იმდენი მოხერხება რომ განევითარებიოს თავის ხასიათში, ვითომ მისი ნამდვილი ხასიათის გამოცნობა შეუძლებელი იყოს, სანამ ის გასათხოვარია,—შეცდომაა. თუ მისი ყურადღება დღეს-დღეობით უმთავრესად გათხოვებისაკენ არის მიქცეული და ამიტომ ცდილობს, ახალგაზდა კაცის წინაშე ყოველი თავისი ნაკლულევანება დაჰფაროს, სამაგიეროთ მამა-კაცს ცხოვრებაში ფრიათ ვრცელი ასპარეზი ჰქონდა და აქვს დღესაც ქალთან შედარებით; ის ავარჯიშებდა და ავარჯიშებს თავის გონებას, ვიდრე დედა კაცი; ასეთ ვარჯიშობას კი აუცილებლათ უნდა მოჰყოლოდა ის შედეგი, რომ მას დედა-კაცზე უკეთ შუძლია თავის თავი გვაჩვენოს იმად, რაც ნამდვილათ არ არის. ქალში გრძნობა უფრო ძლიერია და დამოუკიდებელი, ვიდრე მამაკაცში, მას თავის დამალვა დიდხანს არ შეუძლია,—გრძნობათა სიძლიერე მალე გასცემს ხოლმე მას და ამიტომ არ არის იმ შეხედულების ღირსი, რომელსაც ვატორი „ბედნიერება მხოლოთ მაშინ ვიგრძენ!“-ში გვაწვდის.

შემდეგ ეტიუდში ბ-ნი არაგვისპირელი გვიხატავს, თუ როგორ ეარშიყება მეგობარი მეგობრის ცოლს და, როდესაც მას არცხვენენ, ის ხარხარით უპასუხებს: ბალღი ჰყოფილხარო. ჩვენს წინ დგანან ორი სხვა და სხვა შეხედულების პირნი ერთისა და იმავე კითხვის შესახებ: არჩილი და ელიზბარი. პირველს უყვარს სხვისი ცოლი და ამაში უზნეოს სრულებით ვერაფერსა ჰხედავს, მეორეს-კი ეს საშინელ უზნეობად მეაჩნია. რომლის შეხედელებას ემხრობა ავტორი, ეტიუდში არა სჩანს და არც არის ეს საჭირო. მან დაგვიხატა ორი მოპირდაპირე შეხედულება და მკითხველის საქმეა, რომელს მიემხრობა და რომელს უარჰყოფს.

ცოლ-ქმრული კავშირის დარღვევა უზნეობაა მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც უზნეობაა საზოგადოთ დარღვევა ყოველ-გვარი პირობის, რომელსაც ადამიანი თავისი ნებითა სდებს; ზოგიერთ შემთხვევაში ეს უზნეობა თუ გასაკიცხია, ზოგიერთში გასამართლებელი, იმისდა მიხედვით, თუ რამ გამოიწვია ამ პირობის დარღვევა. სადაც სიყვარული აღარ არის, ოჯახის სიმტკიცე მარტო გონებაზედ არის დამყარებული და რადგანაც სულ ხშირათ გრძნობა გონებას არ ემორჩილება, ოჯახის ღალატიც აუცილებელი ხდება. თუ კი გივის ცოლი ღალატობს, ეჭვს გარეშეა, ქმართან მას მხოლოთ კანონი აერთებს და შეიძლება კიდევ—რაიმე მოსაზრება საოჯახო ინტერესებით გამოწვეული, არჩილთან-კი—სიყვარული. თუმცა არჩილისა და გივის მეუღლის მოქმედება სრულებით აუცილებელია, მაგრამ მეუხედავათ ამისა უზნეო, რადგანაც ცოლი არღვევს პირობას, არღვევს ამით გივის ბედნიერებას, რომლისთვისაც შეიძლება ცხოვრებაში ერთად ერთ ნუგეშს ოჯახი შეადგენდა, უბრუნდებს ბედ-იღბალს შვილებს, რომელთა წარმოშობისა და აღზრდისათვის ის გივის უერთდებოდა,—მაგრამ რა დიდიც უნდა იყოს ის უზნეობა, რომელიც ცოლის, ან ქმრის ღალატში გამოიხატება, უმეტესი უზნეობა მაინც ის არის, როდესაც ეს ღალატი დაფარულია და არა პირდაპირი, აშკარა, გამოტეხილი. ცოლი რომ უცხადებდეს გივის: მე შენთან ცხოვრება არ შემიძლია, რადგანაც არჩილს ვეკუთნიო, არჩილიც რომ ასე იქცეოდეს და გველის ქერქში არ ეჩვენებოდეს მეგობარს, შესაბრალისი იქნებოდა მხოლოთ გივი, არჩილსაც და გივის მეუღლეს კი ვერ გავკიცხავდით: გრძნობის დამორჩილება ხომ ყველას არ შეუძლია! დღეს კი არჩილსაც და მის საყვარელსაც ყველა გაჰკიცხავს, რადგანაც ისინი ორივე ქურდულათ იქცევიან, ორივე ატყუებენ გივის. ამ მეორე უდიდეს უზნეობაშიაც კი არც ერთი და არც მეორე დამნაშავენი არ არიან, დამნაშავეა ეს საზოგაოებრივი წყობილება და მისგან გამოწვეული კანონი, რომლებიც ამათ სიყვარულს ამალვიებენ, რომლებიც შეყვარებულ ქალსა და კაცს არ აერთებენ და სიფლიდესა და სიცრუეს აიძულებენ. ამ გვარათ ცოლ-ქმრული პირობის დარღვევა უზნეობაა უსათუოთ, მაგრამ ეს უზნეობა ჩირქს არა სცხებს ადამიანს, თუ ის საპატიო მიზეზებით არის გამოწვეული; ხოლო, როდესაც დარღვეულ პირობას საკერვლათ კანონი ედება, ეს გაცილებით მეტი უზნეობაა. რომ არ ირღვეოდეს ცოლ-ქმრული პირობა, ხომ ყველას აჯობებდა, მაგრამ რადგანაც ეს შეუძლებელია, ამიტომ ერთი გზალა არის მხოლოთ: სიყვარულს თავისუფლება უნდა ჰქონდეს დათმობილი, მას კანონი არ უნდა ელობებოდეს წინ და მომავალში ასეც იქმნება.

ამგვარათ თავის სამ ეტიუდში ბ-ნი არაგვისპირელი შეეხო სხვა და სხვა მხრით სქესთა შორის ურთიერთობას. პირველ ეტიუდში მან სქესებრივი გრძნობის დაკმაყოფილება სიყვარულის გამაქარწყლებელ და ქალის დამამცირებელ აქტათ აღიარა—მეორეში ორივე მხარესათვის ბედნიერებათ ჩათვალა ისეთი ოჯახური კავშირის შეწყვეტა, რომელიც სიყვარულზე არ არის აშენებული; მესამეში კი დაგვანახვა ოჯახური უზნეობა, რომელიც ერთის მხრით ნაყოფია ადამიანის ბუნების და ამიტომ აუცილებელი, მეორეს მხრით-კი კანონის ჩარევით იქ, საცა მას ალაგი არა აქვს, და ამიტომ ასაცილებელი.

ავტორის ორი დანარჩენი ეტიუდიც „ეჰ“ და „ბუნების მეფენი“ საერთო აზრით არიან შეერთებულნი. პირველში ავტორმა დაგვიხატა, თუ როგორ მხიარულებით უხვდება ბუნება ადამიანის უბედურებას, მეორეში-კი ადამიანის სრული უძლურება და არარაობა ბუნებასთან შედარებით. ორივე ეტიუდში ავტორი გვიმტკიცებს, რომ ბუნება ადამიანისათვის კი არ არის გაჩენილი, არამედ ბუნება ცხოვრობს თავისი საკუთარი სიცოხლით, ადამიანი კი მასში ისეთივე წარმავალი სტუმარია, როგორც ყოველი ცხოველი, პატარა ფუმფლადან მოყოლებული. უძველესი დროიდან ფილოსოფიაში ის აზრი არსებობდა, რომ ადამიანი მეფეა ბუნების; დედა-მიწა, მთელი მისი სილამაზე სიმდიდრით, მისთვის არის გაჩენილი, მზე და მთვარე მას ემსახურებიან. ახლა ეს უარყოფილია. დარვინმა დაგვანახვა, რომ ადამიანს სრული ნათესაობა აქვს დანარჩენ ცხოველებთან, ის მათი სისხლი და ხორცია; მას შეუძლია ისარგებლოს მით, რაც დედა-მიწაზე მისთვის გამოსადეგია, ხოლო დედა-მიწა, მზე და მთვარე მისთვის არა

ვის გაუჩენია; იყო დრო, როდესაც ის არ ყოფილა დედა-მიწაზე, დედა-მიწაზე კი ტრიალებდა, მასზე ურიცხვი ცხოველნი და მცენარენი ხარობდენ, მზეც და მთვარეც ანათებდენ; მოვა დრო, როდესაც უკანასკნელი ადამიანი დედამიწაზე სულს დალევს, დედა მიწა, მზეც და მთვარეც კი ისევ დარჩებიან და ისევ დიდხანს იტრიალებენ.

ბ-ნი არაგვისპირელის ერთი ეტიუდი „ჭედილას გოდება“ გამეორება არის ავტორის ერთ ერთი თემის; ამ თემის სახელოვნო ფორმაში ჩამოსხმა ყოველთვის საუცხოვოთ ეხერხება ავტორს.

ამ ეტიუდში გატარებულია ვეგეტარიანული აზრი, რომელსაც ჩვენში ძალიან ცოტა მომხრე ჰყავს. ვეგეტარიანიზმს მხოლოთ ერთათ ერთი მტკიცე საფუძველი აქვს: პარუტყვი თითქმის იმნაირივე არსებაა, როგორც ადამიანი,—მხოლოთ განვითავებით უკან ჩამოგვრჩენია და სხვა გზას დადგომია; სიცოცხლის სიყვარული მასაც იმდენათა აქვს ყოველ უჯრებში გამჯდარი, როგორც ადამიანს; მისი დაკვლა იმდენათვე საცოდაობაა, როგორც თვით ადამიანისა და ამიტომ მისი სიცოცხლის მოსპობა ჩვენი კუჭის გასაძღომათ აუცილებლათ უზნეობაა; ასეთ მოვლენას ადამიანის გრძნობა უნდა ეწინაალმდეგებოდეს და ავტორიც სწორედ ამაზე გვითითებს თავის „ჭედილას გოდება“-ში, სამწუხაროთ, ასეთი უზნეობა ადამიანის მოთხოვნილებად არის გადაქცეული, მისი მოსპობა შეუძლია ერთ პირს, ორს, რამოდენიმე ადამიანს, მაგრამ მთელმა კაცობრიობამ რომ ხელი აიღოს ხორცეულ საზრდოზე, ეს ტყუილი იმედია.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ცნობის ფურცელი“ პარასკევის ნომერში სწერს:

„არ შეგვიძლიან არ აღვიაროთ ერთი შეცდომა, რომელიც ჩვენ მოგვივიდა ,,პრესსაში‘‘ (იხ. ,,ცნ. ფ.‘‘ № 1332): ჩვენ გვეგონა, რომ ბ-ნ ჟორდანიას კორესპონდენტი ,,შორს მყოფი‘‘ ქართველი ,,შორს‘‘ იმიტომ წასულა, რომ აქ, ჩვენში, ვერ უპოვნია საჭირო მასწავლებელი და სასწავლებელი: ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ მას თვილისში მყოფი ჟორდანია უხსნის და ურკვევს უმთავრესს კითხვებს, როგორც ეს ,,კვალის რედაქციამ გვამცნო თავის მე-25 ნომერში. გვაკვირვებს მხოლოდ, ,,შორს‘‘ რაღად მიდიოდა ის დალოცვილი, თუ უნივერსიტეტი—,,კვალი‘‘—და პროფესორი—ბ-ნი ჟორდანია აქ ეგულებოდა. რასაკვირველია, ამ შეცდომას მოჰყვა მეორეც; ბ-ნ ჟორდანიას ,,პატარა პასუხი დიდ კითხვაზე‘‘ თურმე კითხვის ნამდვილი პასუხი ყოფილა და ჩვენ-კი ეგრეთად არ მიგვჩნიეთ. ამ შეცდომისათვის თუ შეცოდებისათვის მიტევებას ვითხოვთ ვისთანაც ჯერ არს.

კიდევ ერთი შენიშვნა: ჩვენ გვქონდა ნათქვამი, რომ ბ-ნი ჟორდანია უმნიშვნელო, ზოგადის ხასიათის ფრაზებით იძლევა პასუხს-თქო. ,,კვალის‘‘ რედაქცია ამას ,,ლიტერატურულ ურიგობას‘‘ უწოდებს. გამოდის, რომ, თუ ბ-ნ ჟორდანიას ნაწერს „მნიშვნელოვანი და შინაარსიანი“ არ უწოდე, „ლიტერატურულ რიგიანობა“-ს მოკლებული ხარ. მეტად ,,კვალისებური‘‘ საზომია რიგიანობისა და არა მგონი, ვინმემ იგი მიიღოს. წარა-მარა რიგიანობის ხელის წამოკვრა ვერაფერი პოლემიკური ხერხია და მითი ფონს გასვლა ადვილი, მაგრამ არა სასახელოა‘‘.

აი ასე იწყებს ეს ახალი გაზეთი თავის საპოლემიკო მოღვაწეობას. ის იძიებს ვინ სად რისთვის წასულა, სად რომელი მასწავლებელი და სასწავლებელია და სხ. ეს, რასაკვირველია, მისი საქმეა, ესეც კარგია, რომ ერთი თავისი შეცდომა აღიარა და საჭირო იყო მეორე აღარ განემეორებია და მაინც განიმეორა. ის სწერს: გამოდის, რომ თუ ბ. ჟორდანიას ნაწერს ,,მნიშვნელოვანი და შინაარსიანი‘‘ არ უწოდე ,,ლიტერატურულ რიგიანობას‘‘ მოკლებული ხარ.‘‘ და მერე ეს საიდან გამოდის?—,,კვალის‘‘ უკანასკნელი ,,ჟურნალ-გაზეთებიდანო“—გვარწმუნებს გაზეთი. გადავშალოთ ახლა ,,კვალი.‘‘ აქ ვკითხულობთ: ,,პატარა პასუხი‘‘ აღიარებს ერის ბუნებრივობას, მის აუცილებელ ცხოველ-მყოფელობას და სხ. და სხ. ეს ადგილები რომ ,,ცნობის ფურცელს‘‘ ამოეწერა, მაშინ მისი მკითხველიც დაინახავდა, რასაც ვწერდით, ახლა, კი ის რედაქციას უნდა ენდოს და მასთან ერთათ თქვას ფრაზები დაუწერიაო. ეს ვერ არის ,,ლიტერატურული რიგიანობა.‘‘ აქედან ცხადია, რომ ,,ლიტერატურულ ურიგობას‘‘ ვუწოდებთ არა იმას ბ. ჟორდანიას ნაწერი გინდა თუ არა ,,მნიშვნელოვანათ‘‘ აღიარეო, არამედ იმას, რომ გაკიცხვის საბუთი თვით ნაწერიდან არ მოჰყავს და ისე ზეპირათ ამბობ, უმნიშვნელოაო. და თუ ეს ლიტერატურული რიგიანობაა—დეე ისევ ,,ცნობ. ფურცელმა‘‘ გასაჯოს.

## მე-XIX საუკუნის ისტორიიდან*)

### ინგლისი მე-30-ე წლებში.

მე-30-თე წლების ბოლოში და მე-40-ეს დასაწყისში მუშაობის შეწყვეტას ინგლისში მოჰყვა გავლილი საუკუნის მეტათ ძლიერი პოლიტიკური მოძრაობა. ეს არის ჩარტიზმი. ინგლისის მუშათა კლასის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი ცუდი ხანა, როგორც ეს წლები. ჯერ კიდევ მე-30-ე წლებში ინგლისში ითვლებოდა მილიონამდის შინაური მქსოველი; ესენი ბევრით აჭარბებდენ თავის რაოდენობით მანქანაზე მქსოველებს. მე-50-ე წლების დასაწყისში ბამბეულობის მრეწველობაში შინა-ქსოვა თითქმის განქრა. ამ ნაირათ, სამუშაო მანქანა თანდათან გავრცელდა და მისი სარბიელი გაფართოვდა. მისი თვითეული ნაბიჯი იწვევდა უკან დახევას და დაცემას თვისი კონკურენტის,—საშინაო ხელსაქმისას. ყოველივე გაიაფება მანქანით ნაწარმოები საქონელი იყო იმავე დროს შინ მოქსოვილის ღირებულების დაცემა. ცხადია, ამას უნდა გამოეწვია მძიმე ტანჯვა და ვაება ასი ათასობით მუშა ხალხისა, რომელიც მიჩვეული იყო დიდი ხნიდან თავის კერასთან მუშაობას და ნამუშევარის

*) ჩვენ გვსურს „კვალის“ მკითხველთ გავაცნოთ ევროპის ერთა მე-XIX საუკ. ცხოვრების ზოგი მომენტები. რადგანაც ამ ჟამათ ყველას ინგლისი აინტერესებს, ამისათვის ჩვენც ამ ქვეყნიდან ვიწყებთ და მერე გადავალთ დანარჩენ სახელმწიფოებზე როგორც მკითხველი ამ წერილიდან დაინახავს ინგლისსაც ჰქონებია ბნელი მომენტები. ამას ნათლათ ხატავს ეს შრომა, რომელიც პირველათ აქ იბეჭდება. რედ.

ბაზარზე გაყიდვას. ამას ზედ დაერთო სხვა მრავალი გარემოებები, რომელთაც კიდევ უფრო გაადატაკეს მუშა ხალხი. ეს გარემოებებია: პირველათ, არა ჩვეულებრივი ხანგრძლივი შეჩერება ვაჭრობისა.

1837 - 42 წ.წ. ის სრულიად შეჩერებული იყო. (გარდა 1838 წ.) ამის ერთ შედეგათ და იმავე დროს მიზეზათ იყო ინგლისში მოუსავლობა. მოუსავლობამ არა თუ გაალარიბა სოფელი, არამედ გავლენა იქონია მრეწველ მუშებზედაც: გააძვირა პური და შექმნა ძლიერი ემიგრაცია სოფლის მცხოვრებლებისა ქალაქებში, რამაც თავისი მხრით შემამცირებელი გავლენა იქონია ქალაქის მუშის ხელ-ფასზე.

შემდეგ, ამ უმუშაობისაგან გამოწვეული მძიმე მდგომარეობის გაძლიერებაში დიდ როლს თამაშობდა ღარიბთა შესახებ კანონთა რეფორმა 1834 წ., რომლის წყალობით მუშას წაერთვა ჩვეულებრივი დახმარება საზოგადოებისაგან.[1]) ლორდ ბრუმმა, ნამდვილმა ავტორმა ამ რეფორმებისამ, აუხსნა მუშას, რომ თვითეულმა თვითონვე უნდა აგოს პასუხი თავის თავს თავის მოქმედებაში და, თუ კაცი არ მუშაობს, მისი ზნეობრივი ხვედრი შიმშილი იქნება. ის იმეორებდა თავის მასწავლებელი მალტუსის სიტყვებს. მაგრამ ლორდ ბრუმს არ აინტერესებდა კითხვა, რომელიც იყო ყველაზე უფრო საჭირო მუშისთვის—სახელდობრ, როგორ უნდა იშოვოს სამუშაო, თუ მას მოქირავე არ აძლევს. მუშას არაფერი არ უნდოდა, გარდა სამუშაოსი—მაგრამ სწორეთ სამუშაოს ვერ შოულობდა ის ვერსად, გარდა სამუშაო სახლისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში-კი ეს იყო არა მწარმოებელი მუშაობა, არამედ მუშაობით წამება, რომელიც სრულიად სხვა მიზანს მისდევდა—გაეხადა სამუშაო სახლში ყოფნა, რაც შეიძლება, აუტანლათ მის ძალაუნებურ მცხოვრებისათვის.

,,ერთი რეცეპტია საჭირო ინგლისის ყველა ტანჯვათა მოსასპობლათ,—სწერდა კარლეილი ღარიბთა ახალი კანონის შესახებ,—ეს არის უარი ღარიბისათვის შინ დახმარებისაო. ინგლისი ავადმყოფ უკმაყოფილებაშია, ის მადა გაღვიძებული თავის სარეცელზე წევსო მოღრუბლული ღრმა სასო-წარკვეთილებით აღსავსე, შორს მჭვრეტელობას და წინდახედულობას მოკლებული—და აი, როგორც ჰერპერიინი აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებისა, ჩნდება ადმინისტრაცია ღარიბთა შესახებ კანონთა და ამბობს—იყოს ამიერიდამ სამუშაო სახლები და პური და წყალი სიმწრისა მათში. ეს იყო უბრალო აღმოჩენა—როგორც ყველა აღმოჩენები. და შეჰხედეთ, ყველგან, სადაც-კი შენდებიან სამუშაო სახლის კედლები, სილატაკე და ვაება ჰქრება—სრულიად ჰქრება, როგორც ზოგიერთები იმედობენ—და არარად იქცევა, შრომის მოყვარეობა საფხიზლე, კმაყოფილება სამუშაო ხელ-ფასის აწევა, მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის კეთილდღეობა—ღარიბთა შესახებ კანობების ადმინისტრაციის ანგარიშებში—აუცილებელდა ადრე თუ გვიან ყველა პარტიათა სასიხარულოდ მყარდება‘‘. [1]) ერთის გადამეტებული შრომა ბადებდა მეორეთა სრულ უსაქმობას. მე-40-ე წლებამდის ინგლისს არ ჰქონდა რამოდენიმედ მაინც ჭეშმარიტი საქარხნო დადგენილება. 1833 წ. კანონმა დაადგინა ძლიერი მაღალი ნორმა სამუშაო დღისა (12 საათი მცირე წლოვანთათვის), მაგრამ ესეც მხოლოდ მუშათა მცირე ნაწილს ეხებოდა და ისიც ვერ მოჰყავდათ სისრულეში, აუარებელმა უმეტესობამ მრეწველ მუშებისამ—ყველა შინა-ურმა მუშებმა, აგრეთვე პატარა სახელოსნოების, ქარხნების, მაღნების და სხ. მუშებმა (... საქსოვი ფაბრიკების მუშათა რიცხვი იყო ინგლისში მე-30-თე წლების ბოლოში მხოლოდ 350 ათასამდე), ე. ი. თითქმის $^4/_5$-ზედ. მეტმა მრეწველ მუშებისამ არ იცოდა სამუშაო დღის რაიმე კანონდებულებითი ზომა. გადაჭარბებული გაგრძელება სამუშაო დღისა რამდენსამე ქარხანაში სწორეთ სამრეწველო კრიზისის დროს, როცა მუშათა ხელი გაიაფებულია, იწვევდა სხვა ქარხნების მუშაობის შეჩერებას და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა კონკურენციის მუშათა შორის.

მუშათა საზოგადოებებს, რომელთაც შეეძლოთ დაედოთ საზღვარი სამუშაო დღის გაგრძელებისათვის, მე-30 წლებში არ ჰქონდათ დიდი ძალა და იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მათ კანონიერ საზოგადოებებათ არ ცნობდა. მიუხედავათ 1825 წლის კანონისა, რომელმაც ნება დართო მუშათა საზოგადოებების დაარსებას, მუშები მე-30-თე და მე-40ე წლებშიაც კი ისჯებოდნენ გაფიცვის და საზოგადოების წევრათ გახდომისათვის; კოოპერატიულ მოძრაობას არ ჰქონდა არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამუშაო ხელ-ფასი ძლიერ დაბალი იყო მრეწველობის გაძლიერების დროსაც და მუშათა ხელის ბაზრის ზედგავლენით ირყეოდა, ყოველივე გაძლიერება უსაქმო მუშათა არმიისა მსწრაფლად არღვევდა ხელ-ფასს. რადგანაც მუშებს არ ჰქონდათ არავითარი საშუალება, დაედგინათ ხელ ფასის ნორმა, ამისათვის სამუშაო ბაზრის მდგომარეობა სრულიად ანარქიული იყო. ამგვარია საქმის ვითარება და არც საკვირველია, რომ უმუშაობას, რომელიც მოჰყვა 1836 წლის კრიზისს და გაგრძელდა რამდენსამე წელს, თან მოჰყვა თითქმის სრული გაღატაკება მრავალთა და დაბადა უკიდურესი უკმაყოფილება ხალხისა.

მრეწველობის კრიზისმა 1836 წელს გამოიწვია მთელი წყება გაფიცვათა. ნოემბრის დასაწყისში დაიწყო მუშათა გაფიცვა სტაფფორდბირის ქარხნებზედ, რომლის შედეგიც იყო ბევრი ქარხნების დახურვა ოლქში. 40-ათასამდე მუშა გამოგდებულ იქმნა ქუჩაზედ. ბრესტონში მომხდარმა გაფიცვამაც რამოდენიმე ბამბეულობის ქარხნებზედ გამოიწვია აგრეთვე დახურვა ყველა დანარჩენი ქარხნებისა, და 15 ათასი მუშა დარჩა ულუკმა-პუროთ. ასეთივე მასსიური შეწყვეტა წარმოებისა გავრცელდა ლანკაშირის ბევრ სხვა ქალაქებშიაც. (ოლდიებში, აშტინში და სხვ.) წარმოების შეჩერება თვით პატრონების ინტერესებს ეთანხმდე-

[1]) წინანდელი კანონი ღარიბ კაცს თვითონ მრევლი ეწეოდა მის ბინაზევე. 1834 წ. ეს გააუქმეს და სამაგიეროთ „სამუშაო სახლები“ ააგეს; აქ მოყავდათ ყველას ის ვისაც სამუშაო არ ჰქონდა და ან არ მუშაობდა. აქ ამუშავებდენ,—სამაგიეროთ არჩენდენ. რედ.

[1]) Carlyle. Chartism. London. 1840, გვ. 16.

ბოდა და ამიტომ ერთი ქარხნის გაფიცვა იწვევდა დანარჩენი ქარხნების დახურვას. 1837 წ. მოხდა ისტორიული გაფიცვა მმართველთა გლაზგოში, რომლის დროსაც მოკლულ იქმნა ქუჩაზედ ერთი მუშა, როგორც ჰფიქრობდნენ, მუშათა წრის წევრებისაგან. ეს უკანასკნელი სრულიათაც ვერ დაამტკიცეს, მაგრამ რამდენსამე მუშას მაინც მიუსაჯეს კატორღაში მუშაობა გრძელი ვადით. მაღალ კლასებში ატყდა ენერგიული მოძრაობა მუშათა საზოგადოებების წინააღმდეგ. დიდი გაფიცვები 1837 წ. გათავდენ არა მუშების სასარგებლოთ, და რამდენიმე შემთხვევაში კიდეც გამოიწვიეს მუშათა საზოგადოებების დარღვევა. მე-30 წლების ბოლო იყო საზოგადოდ ტრედ-უნიონიზმის უკან დახევის ხანა. სიდნეი ვების სიტყვით: ,,გადარჩენილ მუშათა საზოგადოებების წევრთა რიცხვი დიდათ შემცირდა. ინგლისის კალატოზების წრემ, ყველა ამ დროის წრეებზედ უფრო ძლიერმა, მიაღწია 1841 წ. სრულ ბანკროტობამდის უსარგებლო გაფიცვის წყალობით. შოტლანდიის კალატოზთა საზოგადოება დაეცა თითქმის ამ დროსვე... გლაზგოს წრეებს ეწვიათ სრული დეზორგანიზაცია 1837 წ. ლანკაშირის ქარხნების მუშათა წრეებს არ ეტყობოდათ არავითარი სიცოცხლის ნიშან-წყალი; იმისთანა ძლიერი წრეები, როგორიც, მაგ. წრე თუჯისმდნობელთა და მანქანების მკეთებელთა, სრულიად დაეცნენ და ვეღარ გაუძლეს გადასახადს, რომელსაც ისინი იხდიდენ თავის უსაქმო წევრების სასარგებლოდ. რა გუნებაზედაც იყვენ მუშათა კლასები, იმ მდგომარეობაში იყო ვაჭრობაც. უკმაყოფილება და გაბრაზება საერთოთ ყველგან გავრცელდა[2]).

ტრედ-უნიონიზმმა დაუთმო ალაგი-ჩარტიზმს. ტრედ-უნიონიზმი თავისი კეთილ-დღეობისათვის თხულობს სამუშაო ბაზრის მკვიდრ მდგომარეობას. მაგრამ როგორც კი უსაქმო მუშათა რიცხვი მრავლდება, მაშინ ტრედ-უნიონიზმიც სუსტდება და თითქმის იშლება. სამაგიეროთ ვითარდება გაჭირვებული ხალხის პოლიტიკურ-იმოძრაობა.

და აი, მრეწველობის უდიდეს კრიზისს თან მოჰყვა ჩარტისტთა უდიდესი მღელვარება და იმავე როს ტრედ უნიონიზმი სრულიათ ეცემა. ჩარტისტთა აგიტაციის უახლოესი მიზეზი იყო ბრძოლა ღარიბთა შესახებ გამოცემული ახალი კანონის წინააღმდეგ. საეჭვოა, რომ სხვა რამე რეფორმას გამოეწვიოს ასეთი ბრაზი მცხოვრებთა, როგორც ამ კანონს. 1837 წლის განმავლობაში მთელ სახელმწიფოში ხდებოდა პროტესტის მიტინგები ახალი კანონის წინააღმდეგ და იგზავნებოდა პეტიციები მის მოსასპობლად. და ეს საკვირველი არ არის, რადგანაც ამ კანონის აღმასრულებლებმა ჩაიდინეს ყოველისფერი, რომ გამოეწვიათ ასეთი სიძულილი. დახმარება სამუშაო სახლებში მოეწყო ისე, რომ მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობას აეძულებია კაცი მიემართა ამ საშუალებისათვის. ამ კანონის გამგეობის ერთმა წევრთაგანმა კაიმ (Kaye), მიტინგზე პირდაპირ გამოაცხადა: ,,ჩვენი მიზანია დავამსგავსოთ სამუშაო სახლები საპყრობილეებს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და გავხადოთ იქ ყოფნა აუტანელით. როგორც მუშები, ისე გულმოწყალე შეძლებულები ერთნაირი ზიზღით მისჩერებოდენ ამ კანონს. პეტიციები, რომლებიც მიდიოდენ ყოველი მხრიდან პარლამენტში; 1838 წ. ერთი სესიის განმავლობაში შევიდა 333 პეტიცია 266 ათასი ხელის მოწერით კანონის ან სრულიად ან ზოგი მუხლების მოსასპობათ; (კანონის დასაცველი პეტიცია იყო მხოლოდ 35 და ხელი ეწერა 952 კაცს[3]). ლორდებთან და მეფესთანაც ერთნაირათ გაქილენძილია ამ ზიზღით. ახალი კანონი იხსენიებს, როგორც ,,არა ღირსეული ქრისტიანული ქვეყნისათვის'', ,,დესპოტიური'', ,,სასტიკი'', ,,ტირანიული''. სამუშაო სახლს ეწოდებოდა საპყრობილე, ,,ახალი ბასტილია'', რომლებშიაც ღარიბებს ისე ეპყრობოდენ, როგორც დამნაშავეებს. ,,შემდეგ ამ ზომებისა ამბობს ერთი პეტიცია—იქნება მტრობა ღარიბთა და მდიდართა შორის და ღარიბთა სრული განშორება მთავრობისაგან''. [4]).

ამ ღარიბთა კანონის მმართველობა კანონთა დაარსებისათანავე შეუდგა სოფლის მუშების სოფლებიდან სამრეწველო რაიონებში გადაყვანას, მექარხნების თხოვნით, რასაკვირველია. მანჩესტერში დაარსდა განსაკუთრებითი კონტორა, სადაც მექარხნეს შეეძლო შეეკვეთა მისთვის საჭირო რიცხვი მუშებისა, რომელთაც მას აწვდიდენ, როგორც ცოცხალ საქონელს. მართალია, ასეთი გადასახლება მუშათა იყო ,,ნებით''—სოფლის მუშათა თანახმობით, მაგრამ, ნამდვილათ ეს თანხმობა მჩოვენებითია, რადგანაც ადმინისტრაციას შეეძლო მრევლის დახმარება წაერთმია და სამუშაო სახლში ჩაეგდო. ხოლო ამას ისევ გადასახლებას არჩევდენ. თავის თავად ცხადია, რომ სოფლელების ასეთი შემოსევა, სამრეწველო მუშებს ავიწროებდა და ცხოვრებას უჭირვებდა. ქალაქურ ცხოვრებამ სოფლის ელფერი მიიღო და ამან გამოიწვია საყოველთაო დრტვინვა. ამისათვის სამრეწველო ოლქებში კანონის წინააღმდეგი ხმა უფრო ძლიერ გაისმა, ვინემ სამიწად-მოქმედო ოლქებში, თუმცა ეს კანონი მთელი თავისი სიმძიმით უმეტეს ნაწილად სამიწად-მოქმედო ოლქებს დააწვა ტვირთათ. ერთმა დეპუტატმა პარლამენტში გამოაცხადა, რომ ლანკაშირის მუშები არასოდეს არ დათანხმდებიან მათ ოლქში ეს კანონი შევიდეს და, თუ მაინც შეიტანეს, მაშინ თვითონ ის წინამძღვრათ გაუხდება იმათ, ვინც ამას პირდაპირ შეებრძოლებაო. და მართლაც, ღარიბთა კანონის მმართველობა ხშირად ხვდებოდა ხოლმე მცხოვრებთა თავ-განწირულ წინააღმდეგობას სამრეწველო ოლქებში. ოპოზიციამ ცოტაოდენი ნაყოფი გამოიღო. სასტიკობას უკლეს, კანონის ზოგი მუხლი გააუქმეს და დაიწყეს ღარიბთა დახმარება, თუმცა ყოველგან არა, მაგრამ ზოგ რაიონებში მაინც. მუშათა სახლები მაინც ვეღარ იტევდა ყველა უმუშაოთ დარჩენილთ (1837—41 წ. წ. კრიზისის გამო) და მთავრობაც იძულებული შეიქნა მათთვის დახმარება ბინებზე მიეცა.

[2]) Jidney Webb: the History ot Trade unionism. 1894 გვ. 157.

[3]) ფოლდენის სიტყვა პარლამენტში Hensards Porlamentary Dcebates 1837. Yol. 39, გვ. 956.

[4]) Parlamentery Debates 1838. Yol 41, გვ. 1014.

[5]) The Times, 24 marcs 1837.

Библиотека ЦК ЗКП

მაგრამ, მიუხედავათ ყველა ამ დათმობისა, ღარიბთა დახმარების ახალი სისტემა თანდათან იწვევდა ხალხის გაბრაზებას. ნოემბერში 1837 წ. ამ კანონის ბრადფორდში (იორშირშია) შეტანამ გამოიწვია ხალხის ჯართან შეტაკება.

ამავე დროს სამუშაოს სიმცირე ძლიერდებოდა. განსაკუთრებით, საშინელი იყო მდგომარეობა ბამბეულობის ხელით-მქსოველთა ლანკაშირში და აბრეშუმის მქსოველთა სპიტალფილდში. ბირმინგამში, ამ რკინის მრეწველობის ცენტრში, უმუშაობა აგრეთვე ძლიერი იყო. მარტში ამ ქალაქის ვაჭარ-მრეწველებმა მთავრობას დეპუტაცია გაუგზავნეს და სთხოვდენ მიეღოთ ზომები გაჭირვებული მდგომარეობის შესამსუბუქებლათ: აი თუ მთავრობა ახლავე არ დაგვეხმარება—ნათქვამი იყო პეტიციაში—უმეტესი ნაწილი ჩვენ მცხოვრებთა მოკლე დროში სრულიად ულუკმოთ დარჩება‘‘[6]).

(შემდეგი იქნება)

## ბიბლიოგრაფია

### I.

**მარი ბროსსე. ,,საქართველოს ისტორია‘‘.** ნაწილი მეორე მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით ნათარგმნი და განმარტებული სიმონ ლოლობერიძის მიერ. გამოცემული ნიკოლოზ ლოლობერიძის მიერ. გვერდი 236, ფასი 70 კაპ.

გამომცემელი სწერს შემდეგს:

„ეს წიგნი შეადგენს მეორე და უკანასკნელს ნაწილს საქართველოს ისტორიისას, რომლის პირველი ნაწილი მე გამოვეცი 1895 წ. ეს ისტორია შედგენილი იყო, როგორც პირველი ნაწილის წინასიტყვაობაში მოხსენებულია, რუსულს ენაზე ცნობილ აკადემიკოსის მარი ბროსესაგან. იგი რუსულს ენაზედ აქამდის არ დაბეჭდილა. მეორე ნაწილი მოგვითხრობს ისტორია საქართველოს სამეფოებათ და სამთავროებათ დაყოფილან ერეკლე მე-II გამეფებამდის (1469—1744 წლ.). როგორც პირველი ნაწილი ამ ისტორიისა, ისე მეორე ნაწილი თარგმნილია ხელთნაწერიდან სიმონ ლოლობერიძის მიერ, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე შენიშვნები და განმარტებანი. შთამომავლობათა სიები მეფეთა და მთავართა, მეორე ნაწილში დართული, შეადგინა ბ. ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც მისათვის დიდს მადლობას ვუძღვნი“.

ეს წიგნი მეტად საყურადღებოა ყველა იმათთვის, ვისაც ჩვენი ისტორია ოდნავ მაინც აინტერესებს.

### II.

**„Характеристики и воспоминанія‘ Г. М. Тумановъ.**

,,მე ვფიქრობ ,—ამბობს ავტორი თავისს წინასიტყვაობაში,—ჩემი წერილები რამდენადმე მაინც დაარღვევს იმ პამფლეტებს, რომლებიც არა ერთი და ორი იბეჭდება ჩვენ მოღვაწეთა შესახებო“; ,,მე მინდა,—განაგრძობს ავტორი—ერთად ადვნუსხო სასარგებლო ნამოქმედარი ჩვენთა მოღვაწეთა და ამნაირი ყველასთვის ხელ-მისაწვდომათ გავხადო ყველა ეს კეთილი, რაც კი მათ შესძლეს გაეკეთებიათ ესოდენ ეკლიან გზაზედო‘‘. ასე ხსნის ავტორი დანიშნულებას თავის წიგნაკისას და, უნდა გამოვტყდეთ, საკმაო სავსებით აღწევს დანიშნულ მიზანს.

წიგნაკში მოთავსებულია დახასიათებანი და მოგონებანი თხუთმეტიოდე ჩვენთა მოღვაწეთა: ბევრ ამათგანს ავტორი პირადათ იცნობდა, დაახლოებული იყო მათთან და მით უფრო სინამდვილით გვიხატავს ხოლმე ამა თუ იმ მოღვაწის პირადობას. არ შეგვიძლია აქ არ მოვიყვანოთ შემდეგი აზრი გ. წერეთელზე: ,,ის იყო (გ. წერეთელი) ტიპიური იდეალისტი, წერს ავტორი ერთ ადგილას,—თუმცა მთელ თავისს სიცოცხლეში ქადაგებდა რეალიზმს და თითქმის ეკონომიურ მატერიალიზმსაც-კი.‘‘. დიახ! სწორედ ასეთი იყო ფსიხოლოგია ნეტარხსენებული გიორგისა. ასეთი სინამდვილით ახასიათებს პატივცემული ავტორი დანარჩენ მოღვაწეთაც, ბევრ მწარე ფაქტებს მოგვითხრობს იმათ ცხოვრებიდან, რაც საუკეთესო მასალათ გამოადგება ქართველ მოღვაწეთა მომავალ ბიოგრაფს. ჩვენ შეცდომათ მიგვაჩნია ზოგიერთი მოსაზრებანი ავტორისა განსვენებულ ი. ხონელის შესახებ. თავის შეხედულობა ამ მოღვაწეზე „კვალმა“ უკვე გამოთქვა და გამეორება იმისი მეტათ მიგვაჩნია. წიგნაკი შეიცავს 207 გვერდს, სუფთათ და კოხტათ არის გამოცემული და ღირს გაგზავნით 40 კაპ.

### III.

„საყოველთაო კალენდარი 1901 წ.“ შედგენილი კ. თავართქილაძის მიერ, ფასი. 20 კ.

თუ რამდენათ საჭიროა პრაქტიკულათ ხალხისთვის კალენდარი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღეს მიყრუებულ სოფლებშიაც კი ხშირად შეხვდებით გლეხის ოჯახში მას; და აი სწორეთ ამისთვის დიდათ სასიამოვნოა, რომ, საკალენდრო ცნობათა გარდა, კალენდარში სალიტერატურო განყოფილებაც არის მოთავსებული და აი ამ მხრით ბ. კ. თავართქილაძეც საყურადღებო მაგალითს იძლევა.

სალიტერატურო განყოფილება ამ კალენდრისა, რაც-კი შეიძლებოდა ამ პატარა წიგნაკში, ჩინებულათ არის შედგენილი. სხვათა შორის მოთავსებულია წერილი ინგლის-ტრანსვაალის ომზე; წერილი ძლიერ გონივრულათ არის შედგენილი და ადვილათ და ინტერესით იკითხება. აქვე მოთავსებულია „სოფლის სურათები“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, „სოფლის ტიპები“ ესეც მეტათ საინტერესო და მოხდენილათ დაწერილი. აქაშივეა ლექსი კ. გოგოლაძისა განსვენებულ გ. წერეთელზე; ეს ლექსი ჯერ არსად ყოფილა დაბეჭდილი.

ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ მხოლოთ შემდეგი: 1) საკალენდრო განყოფილებაში ზოგიერთი ძველი ცნობები შეპარვია, მაგალითათ: ჩერნომორის ოლქს ეხლა ჩერნომორის გუბერნია ეწოდება; ერთ ადგილას ამბობს დღიური ნახევარი დესიატინაა, მეორე ადგილას-კი (გვ. ახ.) ოთხი დესიატინა უდრის 10 დღიურსო და სხ. 2) ენა საკმაოთ კოჭლობს და 3) ძლიერ ბევრი კორექტურული შეცდომებია.

მაგრამ ყველა ეს არა არის-რა იმ ღირსებასთან, რომელიც ამ კალენდარს აქვს.

გ—ო

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

**ნახატებიანი გაზეთი**

# „კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა **1901** წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაფართოვებული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

[6]) Bronterres national Beformer № 11. 1837.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში **7** მანეთათ, თფილისს გარეთ **8** მან., ნახევარი წლით თფილისში **3** მ. **50** კ., თფილისს გარეთ **4** მან., ხოლო სამი თვით **2** მან. თითო ნომერი სამ შაურათ.
ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15, ალექსანდროვის ბაღის ახლოს.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათომში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში;; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კარპ მოდებაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

## საისტორიო-საარქეოლოგო და ს გეოგრაფიო-საეტნოგრაფო

ყოველ-თვიური სურათებიანი ჟურნალი

# „მოგზაური“.

მომავალ 1901 წლის იანვრიდან, მთავრობის ნება-დართვით, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის რედაქტორობით, გამოვა ქართული ახალი ჟურნალი „მოგზაური“. ჟურნალს მიზნათ აქვს ადგილობრივ ასწეროს და დაასურათოს ჩვენი ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ნაშთი, საგანი და პირი. გარდა ამისა, ჟურნალი ადგილს მისცემს თავის ფურცლებზე საქართველოს და მისს ნაწილთა და მკვიდრთა შესახებ ყოველგვარ სტატიებს, მოთხრობებს, პოემებს, ლექსებს, გარდმოცემებსა და ზღაპრებს ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ შინაარსისას.

პირველი ნომერი გამოვა საახალწლოთ, ხოლო შემდეგი ყოველ თვის პირველ რიცხვებში, ორ ბეჭდურ თაბახამდის (64 გვ.) და ეღირება წლით 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. რადგანაც გამოცემა ასეთი სპეციალური ჟურნალისა იაფათ არ დაჯდება, ვთხოვთ ჩვენი წარსულის და ქვეყნის მოყვარეთ დაგვეხმარონ ამ ახალ საქმეში ხელის-მოწერით და და შესაფერი სტატიების და სურათების გამოგზავნით. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію „Могзаури“.

ტფილისში მცხოვრებთაგან ხელის-მოწერა მიიღება წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების და ი. იმედაშვილის წიგნების მაღაზიებში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე, შუადღის სამ საათზე, ბაქრაძის სახლებში № 20, დავითის ვიწრო ქუჩაზე. (3—2)

# „ივერია“

გამოვა 1901 წელსაც

## იმავე პროგრამით, როგორც წინათ

ფასი გაზეთისა

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.— კ. | 6 თვით | 6 მ.— კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი თფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეთ ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარათ: ხელის-მოწერის დროს 3 მან: პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:
მეოთხე გვერდზე თითო-ჯერ სტრიქონი— 8 კაპ., პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი. „ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურობის სახლი.

**ტელეფონის № 227**

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ. Редакція „ИВЕРIА“.**
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА
## НА 1901 Г.

**на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету**

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XVIII годъ изданія).

**Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакціей и по прежней программѣ.**

**Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтеніи, ФОРМАТЪ газеты съ конца нынѣшняго года будетъ УВЕЛИЧЕНЪ.**

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ
**съ доставкой и пересылкой:**

| | | |
|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. |
| „ 6 „ | 6 р. — к. |
| „ 5 „ | 5 р. 25 к. |
| „ 4 „ | 4 р. 75 к. |
| „ 3 „ | 3 р. 50 к. |
| „ 2 „ | 2 р. 75 к. |
| „ 1 „ | 1 р. 50 к. |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р. къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., на полгода—4 р.

*Лица, подписывающіяся на будущій годъ, получаютъ газету въ нынѣшнемъ году безплатно.*

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается **въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.**

Книги, издаваемыя редакціею. будутъ продаваться подписчикамъ „Нов. об“. съ уступкою 50%.

(3—2)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА „С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ“ въ 1901 г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

**Безъ казенныхъ прибавленій.**

| | на годъ, | 6 мѣс, | 3 мѣс. | 1 мѣс, |
|---|---|---|---|---|
| Съ доставкой по гор. почтѣ | 16 р. — к. | 9 р. — к. | 4 р. 50 к. | 1 р. 80 к. |
| Съ пересылкою иногородн. | 17 „ — „ | 10 „ — „ | 5 „ 50 „ | 2 „ —, |
| За границу | 26 „ — „ | 14 „ — „ | 8 „ — „ | 3 „ —, |

**Съ казенными прибавленіями.**

| | на годъ, | 6 мѣс. |
|---|---|---|
| Съ доставкой по гор. почтѣ | 18 р. — к | 10 р. — к. |
| Съ пересылкою иногородн, | 19 т. — к, | 11 „ — к, |
| За границу | 28 „ — к. | 16 „ — „ |

**Подписка на газету съ казенными прибавленіями** принимается только на годовой и на волугодовой срокъ. Въ розничную продажу казеныя прибавленія не поступаютъ.

**Допускается разсрочка платежа** подписныхъ денегъ чрезъ гг. казначеевъ (по особому съ ними соглашенію); для частныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи: 7 руб. при подпискѣ, 5 руб. въ концѣ марта и 5 руб. 1 августа.

Для духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній, а равно для общественныхъ библіотекъ и читаленъ подписная цѣна: 12 руб. въ годъ или *по 1 руб. въ мѣсяцъ* (исключительно черезъ контору „СПБ. Вѣдомостей“) Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ, высылка газеты прекращается.

**Подписка принимается:** въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерна, 26, и въ книжномъ магазинѣ Цинзерлинга, (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Печковскія линіи, № 61.

**Иногородные адресуютъ:** С.-Петербургъ, Шпалерная, 26.

Редакторъ-издатель *князь Э. Э. Ухтомскій.*

## ЖУРНАЛЪ ДЛЯ ВСѢХЪ,

**ежемѣсячный, иллюсрированный, литературный и научно-популярный.**

Подписная пѣна одинъ рубль въ годъ съ доставкой и пересылкой.

Въ первомъ номерѣ 1901 года, между прочимъ, будутъ помѣщены разсказы: *Максима Горьнаго*, „Пѣсня слѣпыхъ“.—*В. Вересаева*, „Къ спѣху“.—*Н. Тимновскаго*, „Двѣ семьи“.—*Н. Телешова*, „Хлѣбъ-соль“ и др. Статьи: *Г. Н. потанина*, „Объ Уралькомъ казачествѣ“,—Проф. *В. О. Ключевскаго*, „Петръ среди своихъ сотрудниковъ.“—Проф. *Н. А. Каблукова*, „Раздѣленіе труда, какъ основа единенія“.—Проф. *В. М. Шимкевчча*, „Симбіозъ“ и др.

**Подписка принимается:** въ конторѣ редакціи. *С.-Петербургъ*, Спасская, 26; *въ Москвѣ*: въ конторѣ Печковской и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ, при чемъ подписывающіеся *не въ конторѣ редакціи*, на пересылку денегъ въ редакцію должны уплачивать особо (обыкновенно 15 к. на подписной рубль), такъ какъ редакція никакой скидки съ рубля магазинамъ и коммиссіонерамъ дѣлать не можетъ.

**Открыта подписка на 1901 годъ.**

*(IX-ый годъ изд.)*

На ежемѣсячный литературный и научный журналъ

## Русское Богатство,

ИЗДАВАЕМЫЙ

**В. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ**

**Подписная цѣна:** на годъ съ доставкой и пересилкой 9 р.; безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ 8 р.; за границу 12 р.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: Въ С.-Петербургѣ — въ конторѣ журнала—*уг. Спасской и Басковой ул.*, д. 1—9 Въ Москвѣ—въ отдѣленіи конторы—*Никитскія ворота, д. Гагарина.*

*При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе*, допускается **разсрочка.**

при подпискѣ — 5 р. и къ 1-му іюля 4 р. или при подпискѣ — 3 р. къ 1-му апрѣля 3 р. и къ 1-му іюля 3 р.

**Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки, высылка журнала прекращается.**

*Книжные магазины, земскіе склады и потребительныя общества*, доставляющіе подписку, могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только **40** коп. съ каждаго годового экземпляра.

**Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ, отъ земскихъ складовъ о потребительныхъ обществъ не принимается.**

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

## „ქართული პრესა“

წერილები ნოე ჟორდანიასი.

გამ. ამხან. „შრომის“. ფასი 25 კაპ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Декабря 1900 г. ◆ სტამბა ე. ი. ხელაძისა. ◆ Тип. Е. И. Хеладзе Л.-Мелик. ул., № 28.